# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 14 ნოემბერი, 2009 წელი.

№ 231 (6331)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## „კურდღლისცეკვასანთა“ ალბომები



...ერთხელ პატიების თხოვნა გასაგებია, ორჯერ – დასაშვები, სამჯერ – საეჭვო, მაგრამ შეიძლება გამუდმებით პატიებას ითხოვდე, და თუ ასე გამუდმებით საპატიებლად გაქვს საქმე, რისი, ან ვისი „ლიდერი“ ხარ მაშინ? 4

## გადაიხადეთ გამოსასყიდი ან მიბრძანდით ციხეში! – ასეთი არჩევანის წინ დააყენა მიხეილ სააკაშვილმა ბიზნესმენები 8

ვარაუდი



იაგო კაჭკაჭიშვილი:

## ადგილობრივი არჩევნები თუნდაც თბილისში რომ ჩაიშალოს, ეს რადიკალურ-რევოლუციური გამოსვლების წინაპირობა შეიძლება აღმოჩნდეს

დღეს ცალკეული ოპოზიციური ძალების რეიტინგი მაინცდამაინც შთამბეჭდავად არ გამოიყურება. ცალკე აღებულ არც ერთ ოპოზიციურ ძალას არ შეუძლია არჩევნებში ხელისუფლების დამარცხება – ვგულისხმობ, როგორც თბილისის მერობის ცალკეულ ოპოზიციურ კანდიდატებს, ისე – საკრებულოში პარტიულ კვოტებს. 3




ტარიელ ფუტკარაძე:

## საწყენია, რომ ტალიავინის კომისიის ცნობილი დასკვნა ჩვენივე ე.წ. ექსპერტების კვლევებს ეყრდნობა 2

## დავუბრუნოთ შვილებს სკოლა! 5

## ხელისუფლება საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის წინააღმდეგ 2

## 11 ჰიტლერის ოქროს საიდუმლო



## „საფრთხე ექმნება სამშობლოს ბედს“... 7



ინფორმაცია

## პიტერ სემნები გატაცებული ბავშვების დაბრუნებას გვპირდება



**ევროკავშირი ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების გათავისუფლებისთვის ძალისხმევას არ დაიშურებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა პიტერ სემნებმა განუცხადა.**

მისივე განმარტებით, ამ ინციდენტის გამო აღნიშნული ორგანიზაცია შეშფოთებულია.

ამასთან ერთად, პიტერ სემნები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შეშვების აუცილებლობაზეც საუბრობს.

მისივე შეფასებით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ახლაც, როცა მას ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის საშუალება არ აქვს, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს.

## მიგვიღებენ კი ნატოში?

**საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესაძლებლობას განიხილავენ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 55-ე ყოველწლიურ სესიაზე, რომელიც ედინბურგში გაიხსნა.**

ნატოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები საქართველოსთან ერთად ალიანსში მოლდოვის გაწევრებაზეც იმსჯელებენ. სესიაზე ნატოს 28 ქვეყნის 340 დეპუტატი მიიღებს მონაწილეობას.

განსახილველ საკითხთა შორისაა ალიანსის რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობა, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, ავღანეთსა და პაკისტანში არსებული ვითარება.

## გილაური ევროკავშირის ელჩებს შეხვდა

**პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ევროკავშირის ელჩებს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ამის შესახებ სასტუმრო „რედისონში“ გამართული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს თავად გილაურმა განუცხადა.**

გილაურის განმარტებით, მან ელჩებს მადლობა გადაუხადა იმ დახმარებისთვის, რასაც ევროპა საქართველოს მიმართ იჩენს.

ამასთან, პრემიერ-მინისტრის თქმით, საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და თავისუფალი ვაჭრობის საკითხი.

## ხელისუფლება საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის წინააღმდეგ

**13 ნოემბერს საქართველოში სრულიად რუსეთის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის „ალექსანდრე ნეველის“ აღმასრულებელი დირექტორი მოსკოველი მარინა გუსევა და პრემიის ორგკომიტეტის წევრი ალექსანდრე ველიგონენკო არ შემოუშვეს. ამის შესახებ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესიდან იტყობინებიან.**

კონგრესის პრესსამსახურის ინფორმაციით, ინციდენტი თბილისის აეროპორტში მოხდა, სადაც ერთი დღით ადრე საქართველოში არ შეუშვეს საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის რუსული ფილიალის ხელმძღვანელი, პეტერბურგელი ალექსანდრე კინტერაია. ამ ადამიანებს ალექსანდრე ებრალიძის სახელი აერთიანებს, რადგან ის ხელმძღვანელობს როგორც კონგრესს, ასევე პრემიის საკონკურსო კომისიას.

— მარინა გუსევა და ალექსანდრე ველიგონენკო აპირებდნენ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის პრეზენტაციაში. პრეზენტაციაზე უნდა გაკეთდეს განცხადება ისტორიული პიროვნებების შესახებ შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებებისთვის დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის დაარსების თაობაზე, — აღნიშნავენ კონგრესში.

ჟიურის წევრებისათვის მათ საჩუქრად მოჰქონდათ კონკურსის წიგნი სათაურით „ბაგრატიონი“, რომელიც ცოტა ხნის წინათ გამოიცა რუსეთში და ამჟამად ქართულ ენაზე ითარგმნება.

— წიგნის გამოცემა და თარგმნა დაფინანსებულია ალექსანდრე ებრალიძის საკუთარი სახსრებით. მარინა გუსევასა და ალექსანდრე ველიგონენკოს არშეშვებით ქვეყანაში, საქართველოს ხელისუფლებამ აჩვენა თავისი რეალური დამოკიდებულება კულტურის მიმართ. მათთვის წმინდა ალექსანდრე ნეველი და ეროვნული გმირი გენერალი ბაგრატიონი, რომლებიც ადასტურებენ ქართველი და რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სულიერი ურთიერთობების არსებობას — არასასურველ ელემენტებს წარმოადგენენ, — ნათქვამია კონგრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## აფეთქება გორში

**გორში მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებულთა მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა. დაშავებულები ღუდუშაურის კლინიკასა და დამწვრობის ეროვნულ ცენტრში გადაიყვანეს. სამიდან ორს სხეულის 25 პროცენტი დამწვარი აქვს. კიდევ ერთ დაზარალებულს კი ფილტვის ტრავმა აქვს მიღებული.**

ღუდუშაურის საავადმყოფოში გადაყვანილი პაციენტი ხელოვნური სუნქვის აპარატზეა შეერთებული და მისი მოხსნა ჯერჯერობით არ იგეგმება. მედიკოსების განცხადებით, ტრავმის სიმძიმიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს.

ასევე მძიმეა მდგომარეობა დამწვრობის ცენტრში მოთავსებული კიდევ ორი დაზარალებულისა.

შეგახსენებთ, რომ აფეთქება გორში ხუთშაბათს, გვიან ღამით მოხდა. რესტორან „გორში“ ბუნებრივმა აირმა გაჟონა, რაც აფეთქების მიზეზი გახდა. შენობა დანგრევას გადაურჩა, თუმცა მინები ჩაიმსხვრა.

## ლუჟკოვი სოხუმს თავის ამალასთან ერთად ეწვია

**სეპარატისტულ აფხაზეთში მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ჩავიდა. მოსკოვის მერთან ერთად სოხუმს მოსკოვის მერიის წარმომადგენელთა დიდი დელეგაციაც ჩავიდა. სოხუმის აეროპორტში იური ლუჟკოვს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში დახვდა.**




— მოსკოვის მერიის დიდი დელეგაციის სტუმრობისას გაფორმდება რამდენიმე ხელშეკრულება მოსკოვისა და აფხაზეთის მთავრობებს შორის, — იუწყება აფხაზური მხარე.

მათი ინფორმაციით, ხელშეკრულებები გაფორმდება სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ჰუმანიტარულ-კულტურულ სფეროებში. გაფორმდება ასევე მემორანდუმი სამეწარმეო სფეროში.

## წარჩინებული მოსწავლეები დააჯილდოვეს

**შიდა ქართლის გუბერნატორმა ლადო ვარძელაშვილმა გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და არასახელმწიფო სკოლების 2008-2009 სასწავლო წლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს ოქროს და ვერცხლის მედლები გადასცა.** გუბერნატორმა ზოგადი განათლების კურსის წარჩინებით დამთავრებისათვის 22 ოქროს და 97 ვერცხლის მედალი პირადად გადასცა გორელ ახალგაზრდებს და წარმატებები უსურვა. ღონისძიების დასასრულს კი მათთან ერთად სამახსოვრო ფოტო გადაიღო.

ხი-ეიჩ-ენი

პოზიცია

# ტარიელ ფუტკარაძე: საწყენია, რომ ტალიავინის დასკვნა ჩვენივე ე.წ. ექსპერტების

**გასული წლის აგვისტოს ომის მიზეზების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის დასკვნის ირგვლივ პოლემიკა გრძელდება. ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მიერ გამოთქმული არაერთი მოსაზრების მიუხედავად, მაინც რჩება დასკვნის არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელზეც ფართო საზოგადოების ყურადღება ჯერ არ გამახვილებულა. კერძოდ, უყურადღებოდ რჩება ის ფაქტი, რომ ტალიავინის კომისიამ რუსეთის წაქეზება-მხარდაჭერა 1991-92 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობას „საქართველოს შიდა არეულობის“ კვალიფიკაცია მისცა. ამ და სხვა საკითხებზე „პირველი“ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს ესაუბრა, რომლის აზრით, „ტალიავინის კომისიის დასკვნაში მხოლოდ ირიბადაა წარმოჩენილი, რომ საქართველოს დამპყრობელი რუსეთია და მისი ჯარი საოკუპაციოა, ამასთან, დამახინჯებულია საქართველოს როგორც უახლესი, ისე ძველი ისტორია“.**




**— ბატონო ტარიელ, თქვენ აცხადებთ, რომ ტალიავინის კომისიის დასკვნაში დამახინჯებულია საქართველოს როგორც უახლესი, ისე ძველი ისტორია. რას გულისხმობთ კონკრეტულად?**

— ამ დასკვნაში 1991-92 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა შიდა არეულობადაა შეფასებული; ქართველი ერი წარმოდგენილია სუბეთნოსთა კონგლომერატად; წერია, რომ საქართველო XI საუკუნებდე არ არსებობდა, ხოლო XIII საუკუნემდე ქართველი ერის ეთნიკური კონსოლიდაცია დასრულებული არ იყო. ერთი სიტყვით, ტალიავინის კომისიის დასკვნით, საქართველო ფაქტობრივად არშემდგარი სახელმწიფოა! „საუკუნეების მანძილზე საქართველო დაყოფილი იყო ადგილობრივ სოციალურ სუბეთნიკურ ერთეულებად. თითოეულს გააჩნდა საკუთარი ტრადიცია, ქცევა, დიალექტი, მეგრელების, ლაზებისა და სვანების შემთხვევაში კი — ცალკეული ენები, რომელიც ქართულის მსგავსია. ეთნიკური კონსოლიდაციის და ერად ქმნადობის პროცესი მე-13 საუკუნეშიც კი არ დასრულებულა... შემდეგ კი საქართველო დაიშალა და მას სხვები აკონტროლებდნენ“... აი, ამას წერენ ჩვენი „მეგობრები“! თითქოს ქართველთა ეროვნულ ერთიანობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არ ჰქონდეს; თითქოს არ არსებულა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ; თითქოს მეგრელ-სვან-ლაზთა დედაენა ქართული არ არის! საქართველოს არასაბჭოური ისტორიის მოყოლა შორს წაგვიყვანს. ქართველებს დიდი და რეალური ისტორია გვაქვს. როგორც ქართული, ასევე უმრავლესი უცხოური წყაროთი ცნობილია, რომ როგორც ქართველი ერი, ასევე ქართველთა სახელმწიფო — ქართლი — ერთიანია სულ მცირე, ძვ.წ. IV საუკუნიდან მოყოლებული. „ყოველთა ქართველთა“ ქვეყანა მოიცავდა როგორც დასავლეთ საქართველოს კლასურამდე, ასევე ისტორიულ ტაო-კლარჯეთსაც (რიზემდე მაინც!ძ... ქართველ მეფეთა საუხუცესო მიწა-წყალი კი იყო შიდა ეგრისი (ცენტრალური დასავლეთ საქართველოძ... ეს ვერ გავაგებინეთ ტალიავინის კომისიას!

**— ვის და როგორ უნდა აეხსნა ეს ტალიავინის კომისიისთვის?**

— რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებას, მისთვის კი, თავის მხრივ, ადეკვატური ინფორმაცია იმ სტრუქტურას უნდა მიეწოდებინა, რომელსაც მეცნიერების დაგეგმვა და დაფინანსება ევალება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, განსაკუთრებით 2003 წლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნდა დაეგეგმა და დაეფინანსებინა ისეთი ქართველოლოგიური კვლევები, რომლებიც პასუხს გასცემდნენ და საბჭოური კვალიფიკაციების ალტერნატიულ თვალსაზრისებს შესთავაზებდნენ მსოფლიოს, რომელიც ლამის წალეკილია რუსული პოლიტიზებული, ფსევდომეცნიერული, გაყალბებული დებულებებით. თუმცა მოხდა პირიქით: 2005 წელს შექმნილი „ეროვნული სამეცნიერო ფონდი“, შემდეგ კი მის ბაზაზე დაფუძნებული „რუსთაველის (ქართველოლოგიისძ ფონდი“ ექსპერტებად ძირითადად ანტიქართული რუკების ავტორებსა თუ საბჭოური ანტიქართული „სამეცნიერო“ თეორიების დამცველებს იწვევს, რომლებიც კიდევ უფრო ამძიმებენ საქართველოს მდგომარეობას საერთაშორისო ველში. პარალელურად ინდიფერენტული ხალხის ხელში ჩავარდნილი საქართველოს უპირველესი უნივერსიტეტი ამავე უცხოელებს საპატიო დოქტორობას, ე.წ. ქართველ ექსპერტებს კი თანამდებობებით აჯილდოებს. შედეგიც ნათელია — ტალიავინის დასკვნის ისტორიული ნაწილი (ტ. 2, გვ. 2-3ძ. დიდად საწყენია (თუ გამიზნული დანაშაული არა!ძ, რომ საქართველოს მოქალაქეების მიერ შევსებული ბიუჯეტიდან ე.წ. ქართველოლოგიის (რუსთაველისძ ფონდი არაიშვიათად ისეთი გამოკვლევებს აფინანსებს, რომელთა მსგავსნი საფუძვლად ტალიავინის კომისიის წევრებმა გამოიყენეს...

**— ტალიავინის კომისიის დასკვნაში გამოყენებულ ტერმინებზე რას იტყვით? არსებობს მოსაზრება, რომელიც, სხვათა შორის, რუსეთში მოღვაწე რიგმა ექსპერტებმაც გამოთქვეს, რომ მთელი რიგი ტერმინები სრულიად არაადეკვატურადაა გამოყენებული....**

— დასკვნაში დადებით მომენტებთან ერთად, მრავლადაა სხვა არაადეკვატური ეპიზოდებიც, განსაკუთრებით — ისტორიულ და ეთნოკულტურულ ნაწილში. მაგალითად, ქართული სინამდვილისთვის არაადეკვატურია ტერმინი „სუბეთნიკური ერთეული“. ქართველობა მრავალი საუკუნეა, ერთი მთლიანი ეთნოსია თავისი დედაენით, კულტურით, ერთიანი ისტორიული მეხსიერებით, სახელმწიფოებრიობით... მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ტრადიცია თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა საქართველოს მცირე ტერიტორიის მქონე ყველა კუთხეში. შესაბამისად, გაუგებრობა ან რეალობის მიჩქმალვაა ქართველთა (მეგრელთა, სვანთა, აჭარელთა, მესხთა, იმერელთა, კახთა...ძ საერთო შემოქმედების — ქართული სამწიგნობრო კულტურის იგნორირება და ქართველთა სუბეთნოსებად დანაწევრება. შესაბამისად, ტალიავინის კომისიის დასკვნაში არსებული ფრაზა **„საუკუნეების მანძილზე საქართველო დაყოფილი იყო**

ვარაუდი



*ოპოზიციურ სპექტრში არსებულ ვითარებაზე „ინტერპრესნიუსი“ სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილს ესაუბრა.*

# ადგილობრივი არჩევნები თუნდაც თბილისში რომ ჩაიშალოს, ეს რადიკალურ-რევოლუციური გამოსვლების წინაპირობა შეიძლება აღმოჩნდეს

**— ბატონო იაგო, 7 ნოემბრისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ოპოზიციამ აღიარა, რომ ხელისუფლებას ვერაფერი დააკლო და ახლა ბრძოლის ახალ სტრატეგიაზე მუშაობს. ამ კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღია ალასანიას „ალიანსს“ და ოპოზიციურ ფლანგზე მყოფ სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებს. თქვენი აზრით, რა ხდება ოპოზიციაში?**

— კარგა ხანია, ოპოზიციაში ორი ნაკადი გამოიკვეთა — ერთი ჯგუფი შეურიგებელი ბრძოლისკენ იხრება და მასობრივი საპროტესტო აქციების განახლებას გეგმავს, ხოლო მეორე ჯგუფი არჩევნებში მონაწილეობის სტრატეგიას ირჩევს. ჯერ ეს ორი ნაკადი ერთმანეთს არ დაპირისპირებია, არ ყოფილა ურთიერთმაკომპრომენტირებელი განცხადებები, თუმცა გარკვეული დაძაბულობა და შეუთავსებლობა ამ ნაკადებს შორის არსებობს, რაც თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ „ალიანსი“, რომელიც საარჩევნო მარათონში აპირებს ჩართვას, 7 ნოემბრისადმი მიძღვნილ ოპოზიციის კონფერენციას არ დასწრებია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ „ალიანსი საქართველოსთვის“ არ გამოსულა ინიციატივით, წამოაყენოს კანდიდატი თბილისის მერის პოსტზე და გამოჩნდნენ სხვა კანდიდატებიც, ვფიქრობ, არასაპარლამენტო ოპოზიცია გააცნობიერებს, რომ ოპოზიციურ ძალებს შორის ნებისმიერი დაპირისპირება, რაც მათ შორის კოორდინაციას გამორიცხავს, მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებს წყალს. საზოგადოება მათი კიდევ ერთი მარცხის მოწმე გახდება. ოპოზიციაში კონსენსუსის გამოხატულება შეიძლება იყოს მერობის ერთიან კანდიდატზე შეჯერება. კარგი იქნება, თუ ოპოზიციაში პრაიმერის იდეა იმუშავებს და კონსენსუსი მიიღწევა. თუ ასე არ მოხდა, ეს, სავარაუდოდ, ოპოზიციური ძალების მარცხის წინაპირობა იქნება.

**— გარდა იმისა, რომ ოპოზიციამ ბრძოლის ერთიანი გზა ვერ შეარჩია, აშკარა გახდა ოპოზიციაში დაპირისპირების ნიშნები. რჩება შთაბეჭდილება, რომ შიდაკონკურენციის გამო არჩევნების ჩატარება ოპოზიციაში ბევრს ხელს არ აძლევს...**

— დღეს ცალკეული ოპოზიციური ძალების რეიტინგი მაინცდამაინც შთამბეჭდავად არ გამოიყურება. ცალკე აღებულ არც ერთ ოპოზიციურ ძალას არ შეუძლია არჩევნებში ხელისუფლების დამარცხება — ვგულისხმობ, როგორც თბილისის მერობის ცალკეულ ოპოზიციურ კანდიდატებს, ისე — საკრებულოში პარტიულ კვოტებს. თუ ოპოზიცია თბილისის მერობის ერთიან კანდიდატზე ვერ შეჯერდა, ხელისუფლებას ადგილობრივ არჩევნებზე ვერ დაამარცხებს. საჭიროა საპროტესტო ენერგიის ერთი მიმართულებით წარმართვა და სინერგიული ეფექტის მიღწევა. ამის შესაძლებლობა თბილისში ნამდვილად არსებობს, დედაქალაქში არსებული ანტისახელისუფლო განწყობების გათვალისწინებით. არაფერი ახალი არ ხდება — გაერთიანების დაკვეთა ოპოზიციის მისამართით პოსტსაბჭოთა საქართველოში სულ არსებობდა. მესმის, რომ საზოგადოებაში არსებული ოპოზიციური განწყობა, გარკვეულწილად, სეგმენტირებულია სხვადასხვა ოპოზიციურ ძალებს შორის და ეს სეგმენტაცია იმდენად მრავალფეროვანია, რომ ზოგიერთ პარტიას (თავისი მერობის კანდიდატით) საერთოდ მანდატის გარეშე დატოვებს, ხოლო ზოგიერთს — უმცირესობის „ულელს“ დაადგამს. ასე რომ, თუ პოლიტიკურ ძალებს პოლიტიკურ ასპარეზზე დამკვიდრება სურთ, მათ საარჩევნო სტარატეგიაზე შეჯერება უნდა მოახერხონ.

**— ოპოზიციამ მოთხოვნები კი ჩამოაყალიბა და ხელისუფლებისგან პოლიტპატიმრების განთავისუფლება, მედიის თავისუფლება, არჩევნებისთვის ნორმალური პირობების შექმნა მოითხოვა, მაგრამ ამ მოთხოვნათა მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს. თქვენი აზრით, რატომ?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ოპოზიცია კონკრეტულ ნაბიჯებს არ დგამს. შესაძლოა, საკმარისად აქტიურები არ არიან, თუმცა გარკვეულ ნაბიჯებს დგამენ. ოპოზიციური ძალებიდან რამოდენიმემ დაუჭირა მხარი ინიციატივას, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში ოპოზიციისთვის გამოყოფილი 7 ადგილის დაკომპლექტება პოლიტიკური ლობირებისგან დამოუკიდებლად მოხდეს; ოპოზიციის ნაწილი უარს არ ამბობს უშიშროების საბჭოში მუშაობაზე, ცდილობს საარჩევნო კანონმდებლობისა და საარჩევნო გარემოს შეცვლას ხელისუფლებასთან დიალოგის გზით და ა.შ. ოპოზიციის მხრიდან გარკვეული სახის აქტივობები არის, მაგრამ ცხადია, ეს არ არის საკმარისი, საჭიროა ცალკეული პროექტების მხარდასაჭერად პოლიტიკური აქტივობის გაძლიერება. ჩემი აზრით, ოპოზიცია, გარკვეულწილად, დაბნეულია და ცდილობს, გაერკვეს, რა გზა იქნება ყველაზე ეფექტური მათი თვითრეაბილიტაციისთვის. ასე რომ, ჯერ ოპოზიცია თვითგამორკვევის პროცესშია და მას კონკრეტული პოლიტიკური აქტივობების განსახორციელებლად ენერგია არ ჰყოფნის.

**— ცხადია, ოპოზიციის მთავარი პრობლემა ის არის, რომ საზოგადოება სახელისუფლოსგან განსხვავებული ქვეყნის განვითარების ინოვაციური და სტრატეგიული ხედვები და რეფორმების გეგმა ვერ წარუდგინა.?..**

— რასაკვირველია, ეს ასეა და ოპოზიციური სპექტრის ბრძოლა, ძირითადად, ნეგატიური ნიშნით მიმდინარეობს. ოპოზიციური ძალები მკაფიოდ ამბობენ, რა და ვინ არ უნდათ, მაგრამ საზოგადოებას ცოტას ეუბნებიან იმის შესახებ, თუ რა უნდათ, ანუ რა იქნება მათი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ასე რომ, ეს საყვედური დღემდე ძალაშია.

ადგილობრივი არჩევნები იმ ტიპის არჩევნებია, რომელიც მნიშვნელოვნად დატვირთულია სამეურნეო ტიპის საქმიანობაზე პრეტენზიით. ნებისმიერმა პარტიამ, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, მოსახლეობას უნდა წარუდგინოს, გამარჯვების შემთხვევაში რა ტიპის სოციალური პროგრამების განხორციელებას აპირებს ადგილებზე — ქალაქებსა და სოფლებში. მაგალითად, თბილისის მომავალმა მერმა თბილისელებს უნდა წარუდგინოს, როგორი იქნება მისი გეგმა ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობის თვალსაზრისით, ისტორიული ნაწილის დაცვის, ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის რეგულირების თვალსაზრისით და ასე შემდეგ. ადგილობრივი არჩევნები არ არის მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლა, ეს არის სამეურნეო პროექტებს შორის ბრძოლაც, რომელსაც არჩევნებში მონაწილე სუბიექტები წარმოადგენენ. ოპოზიციამ უნდა აიღოს გაკვეთილები იქიდან, რაც ვერ შეძლო მთელი წინა საპროტესო მარათონის განმავლობაში და საზოგადოებას პოზიტიური პროექტები წარუდგინოს.

**— ირაკლი ალასანიამ საარჩევნო ბარიერის მიუღებლობის მოტივით შესაძლოა, მერის არჩევნებზე თავისი კანდიდატურა მოხსნას. ჩაიშლება არჩევნები, თუ პარლამენტსგარეთ დარჩენილმა ოპოზიციამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო?**

— ადგილობრივი არჩევნები ნაციონალური არჩევნები არ არის, ანუ ლეგიტიმურია იმ მოსახლეობის მობილიზაციით, რომელიც იმ ტერიტორიულ ერთეულს ეკუთვნის, რომელიც მერს ან საკრებულოს ირჩევს. ვერ ვიტყვი, რომ ადგილობრივი არჩევნები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩაიშლება, მაგრამ თუ პარლამენტს გარეთ დარჩენილმა ოპოზიციამ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, შესაძლოა, არჩევნები თბილისში ჩაიშალოს. თბილისი ყველაზე მეტად ოპოზიციურად განწყობილი ტერიტორიული ერთეულია, მაგრამ არსებობს რეგიონები, სადაც პროსახელისუფლო განწყობები ძლიერია, ამიტომ არა მგონია, რომ ადგილობრივი არჩევნები ჩაიშალოს, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში ან სამეგრელოში. ადგილობრივი არჩევნების მთლიანად ჩაშლას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ არჩევნები თუნდაც თბილისში რომ ჩაიშალოს, ეს რადიკალურ-რევოლუციური გამოსვლების დამატებითი წინაპირობა შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას არჩევნების ტოტალური ჩაშლა ხელს აძლევდეს— პირველ ყოვლისა, თბილისს ვგულისხმობ. ეს მასობრივი უკმაყოფილების დაწყების საბაბი იქნებოდა, რაც პრინციპში დღეს ოპოზიციას სჭირდება, ხოლო ხელისუფლებას — არანაირად.

**კობა ბენდელიანი**

პოზიცია

# კომისიის ცნობილი კვლევებს ეყრდნობა



**ადგილობრივ სოციალურ სუბეთნიკურ ერთეულებად; თითოეულს გააჩნდა საკუთარი ტრადიცია, ქცევა, დიალექტი, მეგრელების, ლაზებისა და სვანების შემთხვევაში კი — ცალკეული ენები, რომელიც ქართულის მსგავსია. ეთნიკური კონსოლიდაციის და ერად ქმნადობის პროცესი მე-13 საუკუნეშიც კი არ დასრულებულა“, რეალობას არ ასახავს.**

დამპყრობელთაგან შევიწროებული აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, სწორედ სამეგრელოსა (ეგრისსაძ) და სვანეთში იყო ქართულენოვანი სამწიგნობრო კულტურის მუდმივმოქმედი ცენტრები. თანამედროვე კვლევები საფუძველს იძლევა ვთქვათ, რომ ქართველი ერი ერთიან ეროვნულ ორგანიზმად ძვ.წ. მე-3 საუკუნეში ჩამოყალიბდა; უდავოა, რომ ადრე შუა საუკუნეებში არსებობდა ქართველი ეროვნება და ერთიანი ქართული კულტურა, რომელიც თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა, იძერწებოდა სამეგრელოშიც, სვანეთშიც, მესხეთშიც და ცენტრალურ საქართველოშიც. შესაბამისად, მე-13 საუკუნეში ქართველი ერის ჩამოუყალიბებლობაზე საუბარი საბჭოური დემაგოგიაა!

**— დიახ, მაგრამ გარკვეულ პერიოდში საქართველო იშლებოდა კიდეც...**

— დამპყრობლებთან ბრძოლაში საქართველო ზოგჯერ მართლაც ნაწევრდებოდა, მაგრამ თავისი ენისა და კულტურის მქონე სამეფოებად კი არა, როგორც ეს ტალიავინის დასკვნის ავტორებს ჰგონიათ, ან სურთ, სხვებს დააჯერონ. დიდი საქართველო იშლებოდა პატარ-პატარა საქართველოებად! ამ „საქართველოებში“ კანცელარიის ენა ისევ ქართული იყო, ეკლესიის ენაც — ქართული, მშობლიური ისტორიაც და ლიტერატურის ისტორიაც ქართული იყო. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანიც“ და „ქართლის ცხოვრებაც“ სამზითვო წიგნები იყო როგორც კახეთში, ასევე სამეგრელოში, კლარჯეთსა თუ სვანეთში. ხაზგასმით ვამბობ: საქართველო არასოდეს დაშლილა ისეთ სეპარატისტულ სამეფოებად და სამთავროებად, რომელთაც თავ-თავიანთი ენა, ქცევა თუ კულტურა ჰქონდათ. ქართველი ერის ერთიანი ისტორიული მეხსიერება დღესაც ყველა კუთხის ქართველის იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. მაგალითად, თამარ მეფის ხსოვნა ყველა კუთხის ქართველის იდენტობის შემადგენელი ნაწილია (საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილი ლაზებისა თუ იმერხეველ-ტაოელებისთვისაც კი). ქართული ენა ყველა ქართველის (მეგრელის, სვანის, აჭარელის, მესხის, იმერელის, კახელის...) დედაენაა, ეროვნული ენაა, ეროვნული მეობის საფუძველია. მრავალი საუკუნის მანძილზე ამ დედაენობრივ კულტურაში იწრთობა მრავალი თაობა ქართველი ერისა, დღეს კი ამის მოშლა უნდათ! ისტორიულად ასე იყო: ქართველთა დედაენის ზეპირი კუთხური სახესხვაობები (კილოები, კილოკავები) „საოჯახო ენის“ ფუნქციით შემოისაზღვრება და არალოგიკურია მათი წარმოდგენა ე.წ. სუბეთნოსების მახასიათებლებად. ქართული ენის გავრცელების საზღვარი არ არის მდინარე ცხენისწყალი და ერგნეთი, როგორც ეს „რუსთაველის (ქართველოლოგიის) ფონდის“ ზოგ ცინიკოს ე.წ. ექსპერტს ჰგონია. მათ გასაგონადაც ვამბობ: ქართული ენა ცხინვალის მხარეშიც და სამეგრელო-აფხაზეთსა თუ სვანეთშიც ავტოქთონი ქართველების მრავალსაუკუნოვანი დედაენაა!

**— თქვენ ტალიავინის კომისიის დასკვნის იმ ნაწილზეც გაამახვილეთ ყურადღება, რომელშიც, როგორც თავად ბრძანებთ, 1991-92 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობას „საქართველოს შიდა არეულობის“ კვალიფიკაცია ეძლევა...**

— გაოცებული დავრჩი, როცა დასკვნის ეს ეპიზოდი წავიკითხე, — მეგონა, ელცინის და პუტინის მიერ რედაქტირებულ ტექსტს ვკითხულობდი! დღეს ყველა ამბობს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება რუსეთის იმპერიამ დაამხო იმიტომ, რომ გამსახურდია რუსეთს კავკასიას აკარგვინებდა. პატივცემულ მკითხველს შევახსენებ, რომ სწორედ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, 1991 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საბჭოთა რუსეთის იმპერიის ჯარს ოკუპანტის სტატუსი მიანიჭა. ამიტომ დაამხო რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლება. იმ ხანად დასავლეთმაც წაუყრუა, რამდენადაც მაშინ დასავლეთი აღმოსავლეთ ევროპის თემით იყო დაინტერესებული... დღეს ვინც ჩქმალავს რუსეთის არსებით როლს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში და ამ დანაშაულს შიდა არეულობას, ან ე.წ. სამოქალაქო ომს უწოდებს, ნებსით თუ უნებლიედ, რუსეთის ინტერესებს ემსახურება. არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო სასამართლომ უნდა დააკისროს პასუხისმგებლობა რუსეთს საქართველოს ხელისუფლების ძალადობით დამხობისათვის!

მართალია, ტალიავინის კომისიის დასკვნა უმაღლესი განაჩენი არ არის ჩვენთვის, მაგრამ ცუდია, რომ ევროპული კომისია ასე არაადეკვატურად უყურებს საქართველოს ძველ თუ ახალ ისტორიას! ამ ისტორიის ადეკვატური გააზრების გარეშე რა აზრი აქვს მსჯელობას იმაზე, ვინ ისროლა პირველი ტყვია?! ეს 1991 წლის 22 დეკემბრის ამბავს ჰგავს, როცა უზენაეს საბჭოს თავს დაესხნენ რუსებისგან მართული ბანდიტები და ამბობდნენ, პირველი ტყვია გამსახურდიას მხარემ ისროლაო! ამ მხრივ ტალიავინის დასკვნა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: რუსეთმა დაიპყრო მთელი საქართველო, გენოციდი მოუწყო ქართველებსა და რუსეთის იმპერიული პოლიტიკისადმი კრიტიკულად განწყობილ აფხაზებს, ოსებს, ბერძნებს, რუსებსაც კი... და ქართულმა მხარემ ისროლა პირველი ტყვიაო...

ეს ყველაფერი უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ჩვენი პატრონი ისევ ჩვენ უნდა ვიყოთ; ამ ისტორიულ ბრძოლაში ჩვენი თაობა — საქართველოს ამჟამინდელი მოქალაქეები (ქართველები, აფხაზები, აზერბაიჯანლები, სომხები, ოსები თუ სხვა ეთნოსების წარმომადგენლები) სასტიკ მარცხს გადავურჩებით, თუკი ვუერთგულებთ საქართველოს სახელმწიფოებრივ ფასეულობებს და პოლიტიკური სპექტრის იმ ნაწილს გამოვარჩევთ, რომელიც უცხოთა ფულით არ ფინანსდება და გამჭვირვალე პოლიტიკას ახორციელებს.

**ლევან ჭითანავა**

ხედვა

**ოცი წლის წინათ იყო ოციათასიანი ალლუმები... ორი წლის წინათ — მომიტინგეების დარბევა... წლეულს — ქაღალდის „კედელი“ საღებავიანი ნათითურებით(!)**
**მუქარა წლეულსაც იყო, როგორც ორი წლის წინათ. ხალხიც იყო, მთლად ნახევარი მილიონი არა, მაგრამ მაინც...**
**პრეზიდენტი — მუდამ გამარჯვებული და მუდამ დამარცხებული მთავარსარდალი — ამჯერადაც გაერიდა დედაქალაქს და რომელიღაც რეგიონში რომელიღაც საწარმო, თუ დაწესებულება დიდი ზარ-ზეიმით გახსნა, მეათედ, ან პირველად(?)**
**ოპოზიციაც ზუსტად ისე მოიქცა, როგორც იქცევიან ბავშვები, როცა უფროსები შინ არ არიან — ერთმანეთს ჩაეხუტნენ, ერთმანეთს გაებუტნენ, ერთმანეთს გაემიჯნენ, ითამაშეს „პოლიტიკური“ სახლობანა, ომობანა, დახუჭობანა, „დახატეს“ უღრუბლო ცა, ნათელი მომავალი, მერე დაიღალნენ, დაიშალნენ და სახლებში წავიდნენ...**

# „კურდღლის-ცყაოსანთა“ ალლუმები



მოკლედ, როგორც მოსალოდნელი იყო, შვიდმა ნოემბერმა მშვიდობიანად ჩაიარა... **მაგრამ იქ, სადაც მასები არ გუგუნებენ, ინდივიდებს მაინც აქვთ „რაღაც“ ისეთი, სათქმელად და ხმაურად რომ ღირს(!)**

თუ აქამდე მარადიულ „ხიდჩატეხილობას“ ორი მხარე ჰყავდა — გაღმით ხელისუფლება და მისი პოლიტიკით კმაყოფილები, გამოღმით კი, პოლიტიკური ოპოზიცია და მისი მხარდამჭერები — სააკაშვილის ექვსწლიანი მმართველობისა და ოპოზიციის ორწლიანი არსებობის მანძილზე საზოგადოებაში გაჩნდა მესამე „სეგმენტიც“.

მართალია, ეს მესამე სეგმენტი ისევ ოპოზიციის მხარდამჭერთა „ბაზაზე“ შეიქმნა, მაგრამ მას ოპოზიციისაგან ისეთივე „უფსკრული“ აშორებს, როგორც ხელისუფლებისაგან, და შესაძლოა უფრო მეტიც და ღრმაც...

მოკლედ, მათთვის — ვისთვისაც მიუღებელია ხელისუფლების პოლიტიკა, მაგრამ ასევე არ მოსწონს ოპოზიციის ქმედება — „ხიდჩატეხილობის“ კონფიგურაციაში ადგილი არ აღმოჩნდა და ისინი, ორგზის გულგატეხილები, „გაღმა ნაპირზე“ დამკვიდრდნენ...

„გაღმა ნაპირიდან“ და „გაღმანაპირელებისათვის“ კი, სულ სხვაგვარად მოსჩანს საქართველოცა და ქართული რეალობაც(!ძ

### ამბავი „ორი კურდღლისა“

**დღემდე უცნობია, რა „დააშავეს“ ამ უწყინარმა ცხოველებმა, მაგრამ ცხადია, რომ კურდღლის თემა მეტად აქტუალურია ქართულ პოლიტიკაში.** მას შემდეგ, რაც მთელმა სამყარომ იხილა აგვისტოს ომის ფონზე დამფრთხალი ქართველი მთავარსარდლის უფრო დამფრთხალი ქმედებები და გამომეტყველება, იგი შეშინებულ კურდღელს შეადარეს და შერჩა კიდეც სამარადჟამისოდ ეს „სახელი“ და „წოდება“.

ეს ალეგორიული მეტამორფოზა პოლიტიკურ „მოდასა“ და „ავანგარდში“ იყო აპრილის აქციების დროსაც. რაც მაშინ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში მოპიკეტეებმა კომბოსტო და სტაფილო გადაყარეს, პრეზიდენტს არა, მაგრამ ერთ პატარა ბაჭიას უდავოდ დააკურდღლებდა.

**იმავე „ლოგიკით“ უნდა გაზრდილიყო იმავე ქვეყანასა და იმავე „გალიაში“ მყოფი მეორე ბაჭიაც — მშიშარა არა, ბაქია ბაჭია — რომელიც აგერ უკვე ორი წელია იმის კვეხნასა და ბაქიბუქში ამოხდა სული, რომ „მშიშარა ბაჭიას“ დაამარცხებს, შეაკვდება, გაანადგურებს, ტყავს გააძრობს და „ბაჭიის ტყაოსან“ მხსნელად და რაინდად მოევლინება გაუბედურებულ ქვეყანას(!)**

მოკლედ, „გაღმანაპირიდან“ ასე ჩანს და „გაღმანაპირელებიც“ ასე ფიქრობენ, რომ **დიდი „პოლიტიკური თამაშების“ მიღმა ორი კურდღელი „თამაშობს“ — ერთი მშიშარა და მეორე ბაქია(!) ...**

**და „მგელიც“ ორია, ისე, სხვათა შორის...**

### „ცას გამოკერებულები“

**ქართულ რეალობაში დაუჯერებელი და წარმოუდგენელი თითქმის აღარაფერია, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ არც რეალურია რამე(!)**

პარადოქსი კი იმდენია, რომ ლოგიკა ალოგიკურობის ფონზე კვლავაც „უმცირესობაში“ რჩება.

კითხვებიც ბევრია და პასუხებიც. არის მანიფესტაციები — ასკაციანიც და მრავალათასიანიც. არის დიალოგიც — პირდაპირიც, დამონტაჟებულიც და კულუარულიც.

მოკლედ, ყველაფერია საიმისოდ, რომ ხელისუფლებამ მუდმივად თავი მოიწონოს, საკუთარი და ევროპული საზოგადოების წინაშე; ხოლო ოპოზიცია მუდმივად თავის მართლების პოზაში იყოს ხალხის, საკუთარი თავისა და ქვეყნის წინაშე(!ძ

თავისმართლებაც ისეთივე პიროზითი ცნებაა, როგორც სხვა დანარჩენი ცნებათაგანი.

მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 7 ნოემბრის ორი წლისთავზე, **„დაზარალებული ოპოზიციის“ რიგებში „დამზარალებელი ხელისუფლების“ წარმომადგენლებიც აღმოჩნდებოდნენ და ისინიც ისე ამაყად ყელმოღერებულები გაივლიდნენ რუსთაველზე, თითქოს ორი წლის წინათ მათაც მხუთავი გაზი და უსამართლობის განცდა ჰქონდათ ყელში ბოლომდე და ტკივილად გაჩხერილი(!)**

პოლიტიკური სინანული და ბოდიში (ისევ დედამიწაზე დასამკვიდრებლადძ ქრისტიანული მიმტევებლობის განცდას ნამდვილად არც ჰყოფნის და არც აღძრავს.

ამიტომაცაა, რომ „გაღმანაპირელებს“ — ანუ ხელისუფლების ოპოზიციას და ამავდროულად ოპოზიციის ოპოზიციასაც — **არ სჯერა მათი, ვისაც პოლიტიკური „მიწა“ ფეხებქვეშ გამოეცალა, და მაინც უნდათ პოლიტიკურ ცას“ გამოეკერონ!..**

### მითიდან რეალობამდე

**ეს „გზა“ ყველამ ერთად, ყველამ ცალ-ცალკე, ერთდროულად და დროის სხვადასხვა მონაკვეთში, იდენტური და განსხვავებული მარშრუტებით გავიარეთ...**

ზოგი ჯერაც „გზაშია“(!ძ

ზოგი დღესაც დაობს იმაზე, „ვაის“ გაყრა სჯობს „ვუის“ შეყრას, თუ პირიქით. კაცმა რომ თქვას **ორივესგან თავის დახსნა სჯობია, მაგრამ სადაა(?)**

ფაქტია, მუდმივად „რაღაცის“ მოლოდინმა იმ „რაღაცასაც“ ფასი დაუკარგა და მოლოდინსაც.

ისიც, ფაქტია ქვეყანა ამ დაუსრულებელი და უშედეგო აქციებით რომ გამოიფიტა და იმედად ისღა დაგვრჩა — **თუკი ბუნებაში უკვალოდ არაფერი იკარგება, რაღა ათი ათასობით ქართველის საპროტესტო მუხტი დაიკარგება უკვალოდ(?!)**

თუკი ოპოზიცია გამუდმებით მოუწოდებდა ხელისუფლების აპოლოგეტებს ამ ხელისუფლებას არსებობის წლები კი არა, დღეებიღა დარჩა და მას სამარეში ნუ ჩაყვებით, რატომ უნდა ჩაყვნენ იმავე პოლიტიკურ სამარეში ოპოზიციის მხარდამჭერები ოპოზიციას, რომლის დღეებიც კარგა ხნის დათვლილია(?ძ

**...ერთხელ პატიების თხოვნა გასაგებია, ორჯერ დასაშვები, სამჯერ საეჭვო, მაგრამ შეიძლება გამუდმებით პატიებას ითხოვდე, და თუ ასე გამუდმებით საპატიებლად გაქვს საქმე რისი, ან ვისი „ლიდერი“ ხარ მაშინ?**

რისი „ლიდერი“ და ქვეყნის გადამრჩენი ხარ, თუკი ორი წლის მანძილზე ორჯერ მოგპარეს და წაგართვეს არჩევნებში „გამარჯვება“;

თუკი ასობით მხარდამჭერი დაგიპატიმრეს და დილეგში გამოგიმწყვდიეს; თუკი მრავალჯერ დაგარბიეს, გცემეს და დაგაწიოკეს;

თუკი მუდმივად გხლართავენ ინტრიგებში, მარტივ მამრავლებად გშლიან და მერე სურვილისამებრ, „გკრავენ“, „გაკოწიწებენ“ და „გაწეპებენ“;

თუკი ყოველდღე გაბითურებენ და დაგარბენინებენ მიტინგიდან შავნაბადაზე, საპროტესტო აქციიდან მოლაპარაკების მაგიდაზე...

**თუკი ასგზის მოტყუებულს, დამარცხებულსა და დამცირებულს ხელის შებრუნებაც კი არ შეგიძლია და მარტო ენის შებრუნებით იოხებს გულს, ლიდერს ვინ ჩივის, ჯერ ის ჰკითხე საკუთარ თავს კაცი ხარ, თუ კაცი ადამიანი(?!)**

* * *

სიმბოლური თარიღების კვალდაკვალ თუ ვივლით საქართველოს პოლიტიკურ კალენდარში უახლოესი „პოლიტ-ფატალური“ თარიღი 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზეა ჩანიშნული.

კაცმა არ იცის, ან ოპოზიციას რა ჰქონდა საზეიმო 7 ნოემბერს, ან ხელისუფლება რას იზეიმებს 23 ნოემბერს(?ძ

ხალხს, მით უფრო „გაღმანაპირელებს“, რომ არ ეზეიმებათ ფაქტია(!ძ

როგორც, ქართული პრესა იუწყება და თავად ლევან გაჩეჩილაძეც ადასტურებს, **საქართველოს „დე ფაქტო“ პრეზიდენტისათვის, მანიფესტაციების მშვიდობიანად ჩატარების თაობაზე, ჯორჯთაიმის უნივერსიტეტს ლექციების ჩატარება შეუთავაზებია(!) რაღა გვიჭირს, ნახევარი მილიონი ქართველი ოპოზიციის ყოველ დაძახილზე, დარსა და ავდარში, „მიშა წადის“ დასაძახებლად ქუჩაში ორი წლის მანძილზე უშედეგოდ მართლაც არ მდგარა და, რაც მთავარია, ქართველებსაც შეგვიძლია თურმე რაღაც ვასწავლოთ ცივილიზებულ სამყაროს(!)**

ალბათ, იგივე ცივილური სამყარო, საქართველოს „დე იურე“ პრეზიდენტს, **მიხეილ სააკაშვილაც მალე მიანიჭებს ნობელის პრემიას, როგორც ყველაზე დემოკრატ პრეზიდენტს — ხუმრობა ხომ არაა, რაც მან ამ ორი წლის მანძილზე ლანძღვა-გინება, მუშტების მოღერება და საკუთარ სამფლობელოში „კარვების ქალაქის“ „გამეფება“ ითმინა, კაცის, მით უფრო პრეზიდენტის კია არა, „ჩიტის გულიც“ ვერ მოითმენდა(!)**

მაგრამ რა ბედი გველის ჩვენ, რიგით ქართველებს, უცნობია და არავინ იცის კიდევ რამდენ ხანს იქნება გაურკვეველი...

„გაღმანაპირელებს“ კი, ანუ მათ: ვისთვისაც ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მიუღებელია; ვინც არც 7 ნოემბერს და არც 23 ნოემბერს არ ზეიმობს; ვისაც არც „ვაისთვის“ და არც „ვუისთვის“ არ ემეტებათ ეს ქვეყანა; ვინც ნიჰილიზმში არაა, მაგრამ ვერც ოპტიმიზმის საფუძველს ხედავს, ერთი არც თუ უსაფუძვლო „კოლექტიური“ შიში აქვთ — **ხვალ შეიძლება თავად საქართველო აღმოჩნდეს საქართველოს მიღმა, ანუ „გაღმა ნაპირზე“!..**

**ელგა ფოლადიშვილი,**
**„ХО-ЭЙЧ-ЭНО“**

ვითომ ხუმრობით!

## რამ შეჭამა ჟანგი? წყალმა ჭამა ჟანგი!

**გადამრევს ეს ხალხი, კაცო! რავა ყველაფერზე იცინიან და შაყირობენ, ბატონო? გასაკვირია პირდაპირ! იმდენს ლაპარაკობს ჩვენი პრეზიდენტი ხალხის კეთილდღეობაზე, იმდენს იღვწის, იმდენს დარბის და მოგზაურობს, რათა ჩვენ დიდებულად ვიცხოვროთ, მაგრამ მერე რა? ვინ უფასებს? უმადურები ვართ, აბა, რა ვართ!**

როგორ გგონიათ, რატომ იწვალებს თავს, რისთვის იტანჯება? — იმისთვის, რომ ჩვენ ვიცხოვროთ უზრუნველად, რომ ფეხი ფეხზე გადავიდოთ, პურიც გვქონდეს და შაქარიც, ნავთიც გვქონდეს და წყალიც! თორემ, მას რა აკლია? არაფერი! და რაზე შეიწუხებდა თავს? ჰოდა, გაჩუმდით, თუ ძმა ხარ!

ა, ბიჭო, შეხედეთ ჩვენი დედაქალაქის ყოველდღიურობას: რა არ კეთდება, რა არ შენდება და ინგრევა, ან პირიქით, — რა არ ინგრევა და შენდება? „პროპკა“ აწუხებსო ხალხს და ქუჩები კედლებით „კეთილმოაწყვეს“! მართალია, ერთი-ორმაგად გაიჭედა ხალხი ამ „კედლებით“, მაგრამ ეს იმ კედლების ბრალი როდია! ეს ნამეტანმა რკინიან-ჟანგიანმა წყალმა იცის, ჩემო ძმაო! ასეთი წყალი ამწვავებს კუჭ-ნაწლავში „ღადარს“, ყელში კი კატარს! თვითონ ასეთი წყალი კი, სანთლით საძებარი ნამდვილად არა გვაქვს ჩვენს ძვირფას დედაქალაქში! ამიტომ, რა გასაკვირია, ჩვენი პრეზიდენტი ეწვიოს ბოდრუმს, კუვეიტს თუ ყატარს? ხომ უნდა იზრუნოს ხალხზე? მით უფრო იმ უბნებზე (ვარკეთილი, ვაზისუბანი, გლდანი და ა. შ.ძ, სადაც ონკანები „სუტკაში“ ოცდაოთხი საათი პირდაფჩენილები და ხახაგამშრალი არიან... მაშინაც ერთთავად გადმოანთხევენ შლამსა და ჟანგს! მერე არის „მომხმარებელთა“ სჯა და პოლემიკა, — ტყუილია თუ მართალი, ჟანგი მიწამ შეჭამაო? არა ბატონო! ჟანგი მიწამ კი არ შეჭამა, არამედ, წყალმა მიირთვა, რომ მერე მოსანელებლად ჩვენს კუჭსა და სისხლძარღვებს „უმასპინძლოს“! არა გჯერათ? თუ არ გჯერათ, მოდით, ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ცდა ჩავატაროთ. ამისთვის თქვენ დაგჭირდებათ სულ რამდენიმე „ხელსაწყო“:

ავიღოთ სამზარეულოს ონკანი (თუმცა, რა „აღება“ უნდა, აქვე არ არის?ძ.

აიღეთ პლასტმასის თეთრი, გამჭვირვალე ბოთლი; ფრთხილად გადაჭერით შუა ადგილას განივად.

აიღეთ ონკანის წყალი (თუ თქვენს ონკანში იმ მომენტისათვის მოდის, თუ არა და ოდესმე მაინც ხომ წამოვა?ძ და დაიწყეთ ცდა.

შეუდგით ონკანს გადაჭრილი ბოთლი.

მოუშვით ონკანი ისე, რომ წვეთ-წვეთად წამოვიდეს წყალი!

...და დაელოდეთ რამდენიმე დღე! ამასთან, შეგიძლიათ, ორ-სამ დღეში ერთხელ გადაღვაროთ ბოთლში დაგროვილი წყალი.

და ამ „რამდენიმე დღის“ შემდეგ თქვენ იხილავთ საოცრებას — თქვენ რომ გეგონათ ანკარა, უსუფთავეს წყალს მივირთმევთო, აღმოჩნდება, რომ აქ მარტო სუფთა წყალთან როდი გვქონია საქმე, — თქვენ მიირთმევთ წყალს შლამითა და ჟანგით გაჯერებულს! და ეს კიდევ არაფერი: თქვენ გახდებით დიდი მეცნიერული აღმოჩენის ავტორი, — ჟანგი მიწამ კი არა, წყალმა შეჭამა, თბილისის წყალმა!!

ამ აღმოჩენის შემდეგ ადექით და იმავე შპს „თბილისის წყლიდან“ აიღეთ ცნობა იმის შესახებ, რაც ცდამ გიჩვენათ! თუმცა, არ ვიცი ნამდვილად მოგცემენ თუ არა ჩვენი „მეწყლეები“ ასეთ ცნობას, მაგრამ, როგორმე შეეცადეთ წაართვათ იგი მათ, რადგან თუ ამ ცნობას პოლიკლინიკაში მიიტანთ, იქ უფასოდ ჩაგიტარებენ კუჭ-ნაწლავის, სისხლძარღვებისა და კატარის მკურნალობას!

აბა, ჰე! არ დაიზაროთ ცდის „დაყენება“, რადგან დაყენებული ცდა ბედის მონახევრეაო, ამბობენ!

მანამდე კი, შეეცადეთ, არ გადაიხადოთ წყლის გადასახადი, რადგან შეგბედავებიან, — თუ წყალი არ მოგწონდათ, რატომ იხდიდით წყლის ფულსო... ან იქნებ, პირიქითაც მოხდეს, — ჟანგის ფულიც დაგიმატონ გადასახდელ ქირაში!

...აი, რატომ დადის ამდენს ჩვენი პრეზიდენტი ბოდრუმში, კუვეიტში თუ კატარში! კატარის მკურნალობა კი რა, ადვილი გგონიათ?

**ზაალ ფილფანი**

პრობლემა

# დავუბრუნოთ შვილებს სკოლა!

**ამ ორიოდე წლის წინათ ვწერდი, რომ განათლების რეფორმის შედეგად უნივერსიტეტი გარდაიცვალა და ამით ახალგაზრდებს მაღალი დონის მიღების საშუალოება მოესპო.** საუბედუროდ, უნივერსიტეტის აღდგენა შეუძლებელია, რადგან უნივერსიტეტები დაიცალა მაღალი დონის პროფესორ-მასწავლებლებისგან და არც სასწავლო პროცესი შეესაბამება იმ დონეს, რომელიც უნივერსიტეტს ეკადრება. თუ გავიხსენებთ, რომ უნივერსიტეტში სამეცნიერო ლაბორატორიები გაუქმდა და სტუდენტებს სამეცნიერო მუშაობა აეკრძალათ, ცხადი გახდება, რომ უნივერსიტეტების მწირი ბიუჯეტი ვერაფრით გასწვდება იმ დანახარჯებს, რაც სამეცნიერო და სასწავლო ლაბორატორიების აღსადგენადაა საჭირო. მთავარი კი ისაა, რომ საშუალო სკოლები გაუქმდა და მათ ნაცვლად საჯარო სკოლები შემოგვრჩა უბადრუკი სასწავლო პროგრამებით. ამიტომაც უნივერსიტეტში მოსული ახალგაზრდების უმრავლესობის დონე (მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნებში) ადრინდელი მოსწავლეების მეშვიდეკლასელთა ცოდნის დონეს არ აღემატება.

**დღეს საშუალო სკოლები აღარ გვაქვს. ისინი საჯარო სკოლებმა შეცვალა, რომლებიც ამერიკული „პაბლიკ სქულებია“. ყოფილხართ ამ „პაბლიკ სქულებში“?** გინახავთ რას და როგორ ასწავლიან?

რამდენიმე ასეთი სკოლა მოვინახულე 1991 წელს ამერიკაში და გამაოცა სწავლების დაბალმა დონემ. ამერიკელებისგან გავიგე, რომ ამ სკოლების მთავარი დანიშნულებაა აღსაზრდელებს როგორმე გამართული წერა-კითხვა ასწავლოს. ის გონებაშეზღუდული ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული. სხვებისთვის კი ამერიკაში საშუალო სკოლებიცაა, მაღალი სკოლებიც და სხვადასხვა ტიპის აკადემიური სკოლებიც. ჩვენთვის კი მხოლოდ ეს უბადრუკი „პაბლიკ სქულები“ გაიმეტეს...

**სასწავლო პროგრამებიც და სახელმძღვანელოებიც აფრიკის განვითარებადი ქვეყნების შესაბამისი გვაქვს. მათი უმეტესობა გონებასუსტი ბავშვებისთვისაა დაწერილი ასევე გონებასუსტი მასწავლებლების მიერ.** შეგიძლიათ გადაშალოთ თქვენი შვილებისა და შვილიშვილების სასკოლო წიგნები და ამაში ადვილად დარწმუნდებით.

როდესაც მეათე კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოში, რომელიც „რეკომენდებულია“ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ და გამომცემლობა „დიოგენემ“ გამოსცა, ფერად ფოტოზე სამზარეულოს გაზქურის „კამფორკაა“ გამოსახული და ქვევით მიუწერიათ: „ბუნებრივი აირის წვა გაზქურაში“.

ამას მეათეკლასელს ეუბნებით?

აქვეა ფოტოსურათები წარწერებით: „ქვანახშირის წვა“, „ქვანახშირის მოპოვება ღია წესით“, „ნავთობის მოპოვება ჭაბურღილიდან“, „მთის მდინარე“, „კოსმოსური ხომალდი შატლი“, „ელექტროგადამცემი ხაზები“, „აისბერგები ყინულის მთებია ოკეანეში“ და ა.შ.

კიდევ უფრო საოცარია კითხვები, რომელსაც ავტორი მეათეკლასელს უსვამს. მაგალითად, ხატია პრიზმა და ეკითხებიან: „პარალელურია თუ არა მისი გვერდითი წახნაგები?“. ის, რომ პრიზმაში გამავალი თეთრი სხივების დაშლა არასწორად ხატია, ალბათ მხატვრის ბრალია, მაგრამ როცა დახაზულია სხივის სვლა ოპტიკურ ბოჭკოში და 45-გრადუსიანი კუთხით დაცემული სხივი სულაც არ გარდატყდება, ხოლო დაახლოებით ასეთივე კუთხით დაცემული სხივი ბოჭკოდან ზედაპირის მართობულად გამოდის, თვით წიგნის ავტორთან მაქვს შეკითხვა: „სკოლაში ფიზიკა თუ უსწავლია?“

უსწავლია კი არა, ქალბატონ ქეთევან ნატროშვილს უნივერსიტეტიც დაუმთავრებია, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტშიც უმუშავია და საკანდიდატო დისერტაციაც კი დაუცავს! ახლა კი ფიზიკასა და მათემატიკას ასწავლის ქართულ-გერმანულ სკოლა „ანიცეტში“.

ამ წიგნში იმდენი სკანდალური შეცდომაა, რომ მთელი გაზეთის ფურცლები არ ეყოფა მათ აღსაწერად. მთავარი სხვაა: ეს სახელმძღვანელო გონებასუსტი ბავშვებისთვის კი არა, გონებასუსტი მასწავლებლის დაწერილია და განათლების სამინისტროს გონებასუსტი ჩინოვნიკების მიერაა რეკომენდებული „პილოტურ სახელმძღვანელოდ“.



ეს სახელმძღვანელო კარგად გვიჩვენებს, თუ როგორია სკოლაში სწავლების და მასწავლებელთა ცოდნის დონე და ამიტომაა ის კარგი მაგალითი. ვფიქრობ, სხვა საგნებშიც არაა საქმე უკეთესად.

და ამ სახელმძღვანელოებით „ნასწავლი“ ახალგაზრდები მოდიან უნივერსიტეტში და გამოცდებზე პირველკურსელებისგან ისმენ, რომ თურმე „ჯოული არის მანძილის ერთეული“, „ძალის ერთეული არის მასა“, „მოძრაობა იწვევს უკუქმედებას“, „ენერგია არის ის, რაც გვაძლევს სიმძლავრეს“, „წინაღობა უკუპროპორციულია ძაბვის და ძალის“, „სიხშირე არის დროის, თუ რა შუალედში ხდება სინათლის გამოსხივება“, „სინათლის ფერს ჰაერი განსაზღვრავს“, „მზიდან სინათლეს 5 წელი სჭირდება“, „ფოტონის სიხშირე არის სინათლის სიჩქარე“ და მრავალი ასეთი „სიბრძნეები“. მაინც, როგორ შესძლეს ამ ახალგაზრდებმა „ეროვნული გამოცდების“ ჩაბარება?

ეს უკვე „ეროვნული გამოცდების“ ჩამტარებლებს უნდა ვკითხოთ. ეს ის ცენტრია, რომელმაც კონტროლის პალატის მონაცემებით 1,5 მილიონი ლარის საკუთარი შემოსავლები „ბიზნესბანკის“ ვადიან დეპოზიტზე განათავსა, ხოლო 2008 წლის ბიუჯეტიდან 16,5 ათასი ლარი ვაკის საცურაო აუზისა და ფიტნეს-კლუბისთვის გახარჯა, ხოლო 48 ათასი ლარი მივლინებებისთვის კანონდარღვევით გაუცია.

უნივერსიტეტს არაფერი ეშველება, სკოლა თუ არ გადავარჩინეთ. ჯერ საშუალო სკოლები უნდა აღვადგინოთ შესაბამისი სასწავლო გეგმებით, სახელმძღვანელოებით და სათანადო დონის მასწავლებლებით და შემდეგ ვიფიქროთ უმაღლესი სკოლების დაარსებაზე, მაგრამ როგორ მოვახდინოთ ეს, როდესაც ჩვენმა ბიუჯეტმა მხოლოდ დაახლოებით 7,5 პროცენტი გაიმეტა მთელი განათლების სისტემისთვის? მისი ნახევარი ალბათ სკოლების რემონტზე მოდის. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა მეზობელმა რუსეთმა განათლებისთვის ბიუჯეტის 20 პროცენტი გამოჰყო, ხოლო იაპონიამ, როდესაც ის მიწასთან იყო გასწორებული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განათლებაზე ბიუჯეტის 60 პროცენტი გადადო და თუ რა შედეგებს მიაღწია ამ ქვეყანამ, კარგად მოგეხსენებათ.

სკოლა რომ საშინელ ფინანსურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, დიდი მიხვედრა არ სჭირდება. მოსწავლეზე ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თანხა შეიძლება მხოლოდ დაწყებით განათლებას გასწვდეს, ისიც დიდი გაჭირვებით. მაღალი კლასები კი სახელმწიფოს მხრიდან პრაქტიკულად დაუფინანსებელი რჩება და მათი დაფინანსება ისევ გაჭირვებულ მოსახლეობაზე უნდა გადავიდეს, გაჭირვებულის, რადგან ვინც ფული იშოვა, მან თავისი პირმშო ან საზღვარგარეთ გაამწესა, ან კომერციულ სასწავლებლებს მიაბარა.

სახელმწიფო სკოლები კი იხურება „ოპტიმიზაციის“ მიზნით. ამიტომაც 1,5-ჯერ შემცირდა სკოლების რაოდენობა 2003 წელთან შედარებით. დაიხურა ან სხვა სკოლას შეუერთდა ათასამდე სკოლა ძირითადად სოფლის სკოლების გაუქმების ხარჯზე. ფაქტობრივად სოფლის მრავალი ბავშვი სკოლის გარეშე დარჩა.

**ეს ყველაფერი სწორედ განათლების იმ რეფორმის შედეგია, რომელიც პრეზიდენტსაც მოსწონს და პარლამენტართა უმრავლესობასაც, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ ამ რეფორმით ახალგაზრდების უმრავლესობაც და მათი მშობლებიც კმაყოფილი არიან.**

ცხადია, განათლების სისტემის რეფორმის გზაზე შეცდომების თავიდან აცილება ძნელია, მაგრამ როდესაც ამ შეცდომებმა მაღალი დონის განათლება საერთოდ მოსპო, უნივერსიტეტები გაანადგურა და სკოლები „დაწყებითი განათლების სასწავლებლებად“ გადააკეთა, ასეთი შეცდომა უკვე დანაშაულია ღვთისა და ერისა წინაშე.

მთავარი პრობლემა დღეს საშუალო სკოლების აღდგენაა. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია უმაღლესი სკოლების აღდგენაზე ვიფიქროთ. ჩვენი ხელისუფლება კი მხოლოდ გზების დაგებაზე, შადრევნებზე და ხელისუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობს.

**მერაბ ჯიბლაძე,**
„თეთრები“, „ქართული აკადემია“

საქმე №2/7340-09

## განჩინება

### საქართველოს სახელით

**სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

„28” ოქტომბერი 2009 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი**
**განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე**

**განმცხადებელი** – გურამ მეპურიშვილი

**დაინტერესებული პირი** – სს „მერანი“-ს აქციონერები (აქციონერთა რეესტრი 26.08.2009 წლის მდგომარეობით): ლეილა კოსტავა, თემურ თოფურიძე, თამარ ბერულავა, იზოლდა გურგენიძე, ნინო ლეჟავა, დალი სამხარაძე, გიული ტუჩაშვილი, ჟუჟუნა ბაკურაძე, ჟუჟუნა კირთაძე, ნოდარ ქალებაშვილი, ზეინაბ ამირიძე, ელენე გაგუა, ლალი გამყრელიძე, ცისანა მიგრიაული, ნინო ჯინჭარაძე, შეირზადა წივწივაძე, ნარგიზა ჭავჭავაძე, ბიჭუნა ლომია, დოდო მილორავა, ალტან ქოიავა, ნანა გამყრელიძე, თინა რუსიტაშვილი, თამაზ ბარნაბიშვილი, ვენერა იმნაძე, დოდო მაისურაძე

**მოთხოვნის არსი** – აქციათა სავალდებულო მიყიდვა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს „მერანი“-ს აქციონერებისათვის – თემურ თოფურიძის, ნინო ჯინჭარაძის, დოდო მაისურაძის, დოდო მილორავასა და ნოდარ ქალებაშვილისათვის - განცხადებისა და თანდართული საბუთების, ასევე სასამართლო უწყების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2009 წლის 21 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა გურამ მეპურიშვილმა სს „მერანი“-ს აქციონერთა მიმართ აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე მოთხოვნით.

გურამ მეპურიშვილი არის სს „მერანი“-ს 98,77% აქციების მესაკუთრე. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მას სურს განახორციელოს დანარჩენი აქციონერებისაგან აქციათა გამოსყიდვა, საზოგადოების მუშაობის გაუმჯობესებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. 2009 წლის 1 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნდა გურამ მეპურიშვილის განცხადება აქციების სამართლიან ფასად შესყიდვის თაობაზე.

განმცხადებლის მითითებით, აქციათა გამოსყიდვის საღრიცხვო თარიღად უნდა განისაზღვროს 2009 წლის 18 სექტემბრის 18:00 საათი.

**სასამართლომ დაინტერესებულ პირთათვის – სს „მერანი”-ს აქციონერებისათვის განცხადებისა და თანდართული საბუთების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხის განხილვისას დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტები:**

2009 წლის 21 სექტემბერს გურამ მეპურიშვილმა განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე მოთხოვნით.

გურამ მეპურიშვილის განცხადება აქციათა მიყიდვის თაობაზე 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინებით მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე გურამ მეპურიშვილის განცხადებისა და თანდართული საბუთების შესახებ დაინტერესებულ პირებს – სს „მერანი”-ს აქციონერებს – თემურ თოფურიძეს, ნინო ჯინჭარაძეს, დოდო მაისურაძეს, დოდო მილორავასა და ნოდარ ქალებაშვილს - უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით, რასაც საფუძვლად უდევს შემდეგი სამართლებრივი შეფასება და სამართლის ნორმები:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $309^{13}$ ითვალისწინებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების განხილვის წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო განსაზღვრავს დროს ზეპირი მოსმენისათვის და მხარეებს დაუყოვნებლივ აცნობებს სხდომის დროსა და ადგილს. აქციონერს, რომლის აქციების გამოსყიდვასაც მოითხოვს მყიდველი (შემდგომში დაინტერესებული პირი) უწყებასთან ერთად ეგზავნება განცხადებისა და თანდართული მასალების ასლები და განესაზღვრება ვადა მოსაზრებების წარმოდგენისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სს „მერანი”-ს აქციონერებს – თემურ თოფურიძეს, ნინო ჯინჭარაძეს, დოდო მაისურაძეს, დოდო მილორავასა და ნოდარ ქალებაშვილს - სასამართლო გზავნილები ვერ ბარდებათ განცხადებაში მითითებული მისამართის მიხედვით, სასამართლო თვლის, რომ მათ საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოთ გურამ მეპურიშვილის განცხადებისა და თანდართული საბუთების, ასევე სასამართლო უწყების შინაარსი.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-285-ე და 414-ე მუხლებით და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

**1. დაინტერესებულ პირებს – სს „მერანი”-ს აქციონერებს: თემურ თოფურიძეს, ნინო ჯინჭარაძეს, დოდო მაისურაძეს, დოდო მილორავასა და ნოდარ ქალებაშვილს - საჯარო პუბლიკაციით ეცნობოთ გურამ მეპურიშვილის განცხადების და მასზე დართული საბუთების შინაარსი.**

**2.** თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე საჯარო პუბლიკაციით დაინტერესებულ პირებს **– სს „მერანი”-ს აქციონერებს:** თემურ თოფურიძეს, ნინო ჯინჭარაძეს, დოდო მაისურაძეს, დოდო მილორავასა და ნოდარ ქალებაშვილს **- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/7340-09 გურამ მეპურიშვილის განცხადებისა გამო აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე.**

**განმცხადებელი თავის მოთხოვნას ამყარებს იმაზე, რომ იგი წარმოადგენს** გურამ მეპურიშვილი არის სს „მერანი“-ს 98,77% აქციების მესაკუთრე. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მას სურს განახორციელოს დანარჩენი აქციონერებისაგან აქციათა გამოსყიდვა, საზოგადოების მუშაობის გაუმჯობესებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. 2009 წლის 1 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნდა გურამ მეპურიშვილის განცხადება აქციების სამართლიან ფასად შესყიდვის თაობაზე.

განმცხადებლის მითითებით, აქციათა გამოსყიდვის საღრიცხვო თარიღად უნდა განისაზღვროს 2009 წლის 18 სექტემბრის 18:00 საათი.

**3.** დაინტერესებულ პირებს – სს „მერანი” -ს აქციონერებს ასევე ეცნობოთ, რომ:

○ თქვენ ვალდებული ხართ წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, წარმოადგინოთ მოსაზრებები განცხადების და თანდართული საბუთების შესახებ, მათი ჩაბარებიდან „03” დღის ვადაში. ამასთან, უფლება გაქვთ, მითითებულ ვადაში წარმოადგინოთ დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის კანდიდატურა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $309^{12}$-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**4.** განცხადების და თანდართული საბუთების ასლები დაინტერესებულ პირებს – **სს „მერანი”-ს აქციონერებს: თემურ თოფურიძეს, ნინო ჯინჭარაძეს, დოდო მაისურაძეს, დოდო მილორავასა და ნოდარ ქალებაშვილს -** ჩაბარებულად ჩაეთვალოთ საჯარო შეტყობინებიდან მე-7 დღეს და ამ დღიდან აითვალოს მოსაზრებების წარმოდგენის ვადა;

**5.** განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე**
**თ. სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №158

# დადგმული და დაუდგმელი ძეგლის ამბავი

ვინც საკუთარ ღირებულებებს არ უფრთხილდება, მისი ყადრი და ფასი არ იცის, მომავალი არ უწერია. სწორედ ეს აშინებდა დიდ ილიას, როცა „ქვათა ღაღადს" გვიწერდა. ჩვენ კი ისე ვანიავებთ უფლისა და წინაპართა ნაბოძებ-დანატოვარს, თითქოსდა გუშინ ბაზრობაზე შეგვეძინოს...

მათ შორის, ერთ-ერთი ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიაა, რომლითაც სიღრმისეულად დღემდე არავინ დაინტერესებულა. ერთადერთი წყარო, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, 1968 წელს მოსკოვში ი. ბეილინ-ვ. პარნესის მიერ გამოცემული წიგნია – „ანდრია ნიკოლოზის ძე კრასნოვი".

საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, როცა წიგნის ავტორები ხოტბას ასხამენ ა. კრასნოვს, როგორც მეცნიერს, მკვლევარს, მოგზაურს – სიახლეთა მაძიებელს... **მაგრამ ბაღთან და მის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებისას, ზედაპირული და ტენდენციურები არიან,** ზოგჯერ კი იმ მოვლენებსაც კრასნოვის სახელს უკავშირებენ, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა...

დავიწყოთ იმით, რომ დაზუსტებას მოითხოვს განცხადება,– " ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რუსეთის იმპერატორის ნებით 1912 წლის 3 ნოემბერს, გაიხსნა", რადგან ობიექტი მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გახსნილად, როცა ის სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ამ შემთხვევაში ეს ასე ვერ იქნებოდა, რადგან ბაღისათვის გამოყოფილი ტერიტორია გაუვალი ტყით იყო დაფარული. ასე რომ, ბაღი კი არ „გაიხსნა", არამედ გაიცა განკარგულება მის დაფუძნებაზე!

ხოლო თუ მხედველობაში აქვთ ე. ტატრინოვის ე. წ. „საკლიმატიზაციო ბაღი", მას ა. კრასნოვის წამოწყებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. მაგრამ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას, გვერდს ვერ ავუვლით, როგორც ამ, ისე იმ დროისათვის მწვანე კონცხზე არსებულ კერძო პირთა ბაღ-პარკების არსებობას, რადგან მათი გაშენება სწორედ ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში ინტროდუქციის ერთ-ერთი ინიციატორის გეოგრაფ- ბოტანიკოსის ე. ტატრინოვის სახელთან არის დაკავშირებული.

თავად ე. ტატრინოვის კუთვნილი ბაღი 10 ჰექტარზე იყო გაშენებული და მარადმწვანე ნაირსახეობით გამოირჩეოდა.

ჩვენ ვიზიარებთ შეფასებას, რომ „რუს მეცნიერთა შორის, რომლებიც ტროპიკულ მცენარეულ სამყაროს სწავლობდნენ, ა. კრასნოვი მე-19 საუკუნის დამლევის და მე-20 საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნატურალისტი და ბოტანიკოს-გეოგრაფი იყო... მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ლანდშაფტმცოდნეობას რუსეთში. ის პირველია, რომელიც ფიზიკურ გეოგრაფიას კომპლექსურ მეცნიერებად თვლიდა და რომ სწორედ ეს პრინციპია გამოყენებული ბოტანიკური ბაღის მშენებლობაში"... და საერთოდაც, ჩვენ საუბარი არა გვაქვს კრასნოვზე, როგორც მეცნიერზე, მის დამსახურებაზე ამ სფეროში. **განსჯის საგანი, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორია, მისი მშენებლობა და ამასთან დაკავშირებული ფაქტების დადგენა გახლავთ!**

კრასნოვმა ოცნების ბაღის განსახორციელებლად მისი არქიტექტურმშენებლის ძებნა დაიწყო და მიაგნო კიდეც – **იასონ გორდეზიანს, უცხოეთში განსწავლულს, ლონდონის სამეფო ბაღის დეკორატორს.** ამ ფაქტს რუსული სამეცნიერო წყაროებიც ადასტურებენ.

როგორც ხედავთ, მსგავსი კომპლექსის შესაქმნელად, მხოლოდ განსწავლულობა და ფანტაზია არ კმაროდა, საჭირო იყო ადამიანი, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებს გაამთლიანებდა, მის ჩანაფიქრს რეალობად აქცევდა. სწორედ ასეთ პიროვნებად აღიქვა ა. კრასნოვმა ი. გორდეზიანი, როცა არჩევანი მასზე შეაჩერა. ამდენად, მავანის მცდელობა, კრასნოვის ეს გადაწყვეტილება ჩვენს მიმართ კეთილგანწყობას და გორდეზიანის ქართულ წარმომავლობას დაუკავშიროს, უმართებულოა, რადგან კრასნოვისათვის ამ შემთხვევაში ერთადერთი კრიტერიუმი მსგავსი მოდელის შერჩევა იყო.

ბარემ, აქვე ისიც ვთქვათ, – რუსული სამეცნიერო კრებულის ავტორები ბოლომდე არ არიან ობიექტურები და გულწრფელნი. ისინი ცდილობენ ი. გორდეზიანის როლის ერთგვარ გაფერმკრთალება-დაკნინებას. ისინი ამბობენ, კრასნოვის მიერ შერჩეულ თანამშრომელთა შორის **„ერთ-ერთი"** ი. გორდეზიანი იყო და ეს არჩევანი მას შემდეგ გაკეთდა, როცა კრასნოვი ამ „ცოდნის მაძიებელი" კაცის ბიოგრაფიას გაეცნოო.

**არადა, ამ დროს გორდეზიანი არათუ „ცოდნის მაძიებელი", თავისი საქმის დიდოსტატი გახლდათ, რომელსაც მარსელის სახელმწიფო ინსტიტუტის წარჩინებით, ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, მდიდარი შრომითი გზა ჰქონდა გავლილი საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში და ბოლოს ინგლისში, ლონდონის სამეფო ბოტანიკურ ბაღში, საიდანაც ის კრასნოვმა მშენებლობაზე მიიწვია.**

დარწმუნებული ვარ, როლები რომ შეგვეცვალა, წიგნის ავტორები გორდეზიანს საერთოდ გამოთიშავდნენ თამაშიდან! რა მოტივით? – ვის უნდა ცარიელი იდეა, მთავარია მისი ხორცშესხმა, ხალხის სამსახურში ჩაყენება!... **ამიტომაც, საკუთარზე თავად უნდა იზრუნო, შენი ისტორია სხვას არ უნდა მიანდო შესაფასებლად!**

როგორც ზემოთაც ითქვა, ი. გორდეზიანის თანხმობა და ბაღის საქმიანობაში ჩართვა, იმპერატორის განკარგულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ 1913 წლიდან დაიწყო. ამ დროისათვის კრასნოვი უკვე დაავადებულია მძიმე სენით და ფაქტიურად გამოთიშულია პრაქტიკული საქმიანობიდან.

გარდა მიმდინარე მშენებლობაში ი. გორდეზიანის ერთპიროვნული როლისა, კრასნოვის მიერ შერჩეულ თანამშრომელთა შორის, როგორც ამას წიგნის ავტორები გვთავაზობენ, ის „ერთ-ერთი" კი არა „ერთადერთია"! და რაც მთავარია, ნათლად იკვეთება, რომ ი. გორდეზიანი ვიღაცის დაკვეთის შემსრულებელი კი არა, თანამოაზრე და შემოქმედებითი პროცესის სრულფასოვანი მონაწილეა.

ი. გორდეზიანის ცხოვრება და შემოქმედება სპეციალურ შესწავლას რომ საჭიროებს, ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა პროფესორ **რ. გაგნიძის** პუბლიკაციის გაცნობამაც: „ი. გორდეზიანი – დავიწყებული გამორჩეული დეკორატორი, აგრონომი და ბათუმის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი გამშენებელი".

როგორც ავტორის ნაამბობიდან ვიგებთ, საარქივო მასალების შესწავლის შემდეგ, ცნობილმა ბიოლოგმა და ისტორიკოსმა ი. ბეილინმა, ფუნდამენტური წიგნი უძღვნა ა. კრასნოვს, სადაც სხვა მრავალ ღვაწლთან ერთად, მოთხრობილია მის დამსახურებაზე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებაში. „ეს წიგნი ჩვენთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია იმის გამოც, რომ მასში, გარკვეული ადგილი ეთმობა ი. გორდეზიანის უშუალო მონაწილეობასა და დამსახურებას ბაღის მშენებლობაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ორი კლასიკოსის ღვაწლი გარკვეულმა გარემოებამ დაჩრდილა"(რ. გ.)

**ბატონ რეზოს ნაამბობს, მე ასე გავაგრძელებ – რუსი ავტორების ბეილინ-პარნესის მსგავსად, რომელთაც ასე ხატოვნად წარმოაჩინეს, თავიანთი თანამემამულის პორტრეტი, იქნებ ჩვენც დავინტერესებულიყავით მაღალმთიანი რაჭის, პატარა გადაკარგულ სოფელ საკაოში, გორდეზიანების რვაშვილიან ოჯახში, დაბადებული, ამ თვითნაბადი, ხალასი ნიჭით დაჯილდოვებული კაცის, უაღრესად საინტერესო და ურთულესი ცხოვრებისეული გზით, საკაოდან – ლონდონამდე!.. დამერწმუნეთ ჩვენ ხელთ გვექნებოდა წიგნი, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებდა „გამორჩეულ ადამიანთა ცხოვრებისადმი" მიძღვნილ გამოცემათა შორის. ჰოდა, როცა, ხმამაღლა აცხადებენ: ბათუმის ბოტანიკური ბაღი არ იქნებოდა, ა. კრასნოვი რომ არ ყოფილიყოო, იქნებ მაშინ მაინც, ერთ–ერთი „განმშენებლის" ნაცვლად, ჩვენი „კლასიკოსისთვისაც" მისი საკადრისი ეპიტეტი შეერჩიათ. ნუ დაგვავიწყდება, – იდეა რაოდენ მომხიბლავადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, იგი ფანტაზიის ნაყოფადდღა რჩება, თუ ფრთებს არ შეისხამს... ამდენად, საკითხავია, კონკრეტულ შემთხვევაში რა უფრო მნიშვნელოვანია, – მეცნიერული კონცეფცია თუ მისი რეალიზება?!**

ოღონდ, მოდით, ნუ მივცემთ ამას დაპირისპირების, შეჯიბრის ხასიათს, როგორც ზოგიერთი ცდილობს... პირუთვნელად, მიუკერძოებლად, მივაგოთ ყველას თავისი წილი დამსახურება!

...კვლავ მივყვეთ მოვლენათა დინებას, ი. კრასნოვი 1913 წელს საფრანგეთში მიემგზავრება, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში ბრუნდება და თბილისში მიხეილის საავადმყოფოში აგრძელებს მკურნალობას. ამდენად, იგი იძულებულია დაკმაყოფილდეს მხოლოდ მრჩეველ-მაყურებლის როლით. „ბათუმში ყოფნისას (სადაც მან ორი თვე დაჰყო), ანდრეი ნიკოლოზის ძე ჩამოდიოდა ბაღში და გორდეზიანის მხრებზე დაყრდნობილი ათვალიერებდა მშენებლობას". ბუნებრივია ავადმყოფობის მოძალებასთან ერთად, მსგავსი ვიზიტებიც შეწყდა. მომდევნო 1914 წელს კი ა. კრასნოვი გარდაიცვალა. აქედან მოყოლებული ი. გორდეზიანი მშენებლობასთან ერთად, ასრულებს დირექტორის მოვალეობას, რაც 1916 წლამდე გრძელდება.

ხოლო ის, თუ რამდენად წარმატებული იყო გორდეზიანის საქმიანობა, ამაზე პასუხს, 1914 წლის 23 დეკემბერს ქ. ბათუმში ჩატარებული აგრონომთა თათბირი იძლევა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის, სოხუმისა და ბათუმის ოლქების სახელმწიფო აგრონომის ა. ვოლსკის მიერ იყო ორგანიზებული. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა ი. გორდეზიანის ღვაწლი, მისი დიდი ძალისხმევა ბაღის მშენებლობაში. 1916 წელს გორდეზიანი საზოგადოებრივ კონსულტანტად, ხოლო შემდეგ ნამდვილ წევრად მიიღეს.

რაც უფრო ღრმად ვეცნობით ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებულ დეტალებს, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ კრასნოვს ამ პროცესში მონაწილეობა თითქმის არ მიუღია, გარდა იმ იშვიათი გამონაკლისისა, როცა „გორდეზიანის მხრებზე დაყრდნობილს", საშუალება ეძლეოდა გასცნობოდა მიმდინარე სამუშაოებს...

ბაღს ყოველწლიურად ათასობით დამთვალიერებელი ჰყავს. მათ დასაკვალიანებლად დახელოვნებული ექსკურსიამძღოლები სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, დამთვალიერებელთ ინფორმაციას აწვდიან იმის თაობაზე, რომ კრასნოვი, მისივე ანდერძის თანახმად, დასაფლავებულია „მაღლობზე, რომელიც გადაჰყურებს ზღვას, ჩაქვს, გასცქერის მთებს, მყუდრო, დაბურული ხეივნის ბოლოს, რომლის გასწვრივ დარგულია ლოსონის კვიპაროსები ორ ობლად მდგომ, ლიანებით გარშემორტყმულ ვერხვებთან ახლოს".

ბუნებრივია, ამის მომსმენ კაცს სურვილი გიჩნდება მოინახულო და პატივი მიაგო ამაგდარი კაცის ხსოვნას, მაგრამ ადგილზე მისულს საფლავის მაგიერ, საკმაოდ უსახურ, მაგრამ მასიურ პედესტალზე შემოდგმული მაღალჩინოსანი რუსი მოხელის ბრინჯაოს ფიგურა გადმოგყურებს, რომლის წარწერაც (თუ მის ამოკითხვას მოახერხებ) გამცნობთ: – „ანდრია ნიკოლოზის ძე კრასნოვი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი (1886–1914წწ)". ამის შემხედვარე ერთ-ერთმა ტურისტმა მკითხა:

**– Помятник?! – это хорошо... А где же магила Краснова?**

**როცა ვუთხარი, რომ მისი ნეშტი ამ მონუმენტის ქვეშ განისვენებსმეთქი, შეიცხადა, – это ведь не по христианский?!**

**– зато по русский, – მივუგე მე.**

და მართლაც, ეს ხომ მეცნიერის საფლავი არ არის, იმპერიის სიმბოლოა, იმის შეხსენებაა, რომ ეს **„რუსეთის ულამაზესი სუბტროპიკული მხარეა!"** ამიტომაც ლოზუნგების მოყვარულ „აქაურებს", რომლებიც გაიძახიან: არ გაბედოთ, ხელი არ ახლოთ, კრასნოვი,– იყო, არის და იქნებაო! ვურჩევთ ამ მოწოდებებს, ისა სჯობს, თუ ასე პატივს მიაგებენ, მიხედონ კიდეც ქრისტიანი კაცის სამარხს, მოაცილონ ეს რკინა-ბეტონის მასა, დარგონ ყვავილები, როგორც ბუნების ტრფიალ კაცს შეშვენის და ის ბიუსტიც თავთან დაუდგან წარწერით.

ხოლო იმათ, ვისაც კრასნოვის კოლონიზატორად მოხსენიება ეხამუშათ, ვურჩევთ ლექსიკონში ჩაიხედონ – **„კოლონია იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ დაპყრობილი ქვეყანაა, ხოლო ის, ვინც დაპყრობილ ტერიტორიაზე იმპერიის ინტერესებს იცავს და ახორციელებს – „კოლონიზატორი".** ამის დამალვას არც თავად კრასნოვი ცდილა. ის რომ ადგილობრივი მოსახლეობა გულზე არ ეხატებოდა, ეს მისი პირადი საქმეა, მაგრამ როცა შენს განწყობას არამარტო შინაგანად თუ სიტყვიერად, წერილობითაც გამოხატავ,– „ბოტანიკური ბაღი იქნება ჩვენი სამშობლოს (რუსეთის) ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა და იგი თავისი მეცნიერული და კულტურული მნიშვნელობით გაუტოლდება ევროპის საუკეთესო ბაღებს", როცა შენს მიერ გამოცემულ ჟურნალს „რუსსკიე სუბტროპიკი" ჰქვია და ა.შ., ნუ გაშინებთ ეს შედარება, რამეთუ რუსი კოლონიზატორები დღესაც მრავლად არიან აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: იდეა, რომ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი არ უნდა ჰგვანებოდა ევროპის სხვა ბოტანიკურ ბაღებს", მის მშენებლობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ა. კრასნოვის სახელთან რომ არის დაკავშირებული, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ არც ისაა სადაო, **რომ ამ ჩანაფიქრის სულისჩამდგმელი, მისი მთავარი არქიტექტორი და მშენებელი ი. გორდეზიანია. იმასაც ნუ დავივიწყებთ, თუ კრასნოვი ამას „რუსეთის სუბტროპიკების" დასამკვიდრებლად აკეთებდა, ი. გორდეზიანი მშობლიურ მიწაზე, ჩვენთვის, მომავალი თაობისათვის, ხელთუქმნელ ძეგლს ქმნიდა!..**

ბატონებო, მე მესმის, ფსიქოლოგიურად ძნელი შესაგუებელია, ასწლიან ისტორიაში ცვლილების შეტანა, მაგრამ თუ მსგავსი დილემის წინაშე აღმოვჩნდებით, უკან არ უნდა დავიხიოთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორიის ყველაზე დიდი ღირსება ჭეშმარიტებაა!

**ოთარ გაგუა,**
**ენციკლოპედია „აჭარის"**
**საგამომცემლო-შემოქმედებითი**
**პროცესის ხელმძღვანელი**



იასონ გორდეზიანი

***P.S.*** *როცა ბათუმის ბოტანიკურ ბაღზე საუბრობ, უთუოდ დიდი უმადური ვინმე უნდა იყო, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" და მისი დამაარსებელი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი არ ახსენო, რომლის კეთილი ნებით გადაურჩა გაჩანაგება-გასხვისებას ეს მსოფლიო მნიშვნელობის მწვანე საოცრება. მხარში დგომა და დახმარება დღესაც გრძელდება. იმ მრავალმილიონიან სამუშაოებთან ერთად, რომელიც ბაღის ტერიტორიაზე ჩატარდა, ყოველწლიურად ასიათასობით ლარი იხარჯება თანამშრომელთა ხელფასის ფონდსა თუ სხვა საზრუნავზე. იქნებ გვეთხოვა ამ კეთილი ადამიანებისათვის ი. გორდეზიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ბაღის ტერიტორიაზე აღემართათ მისი სკულპტურა, ბაღის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოეშვათ ამ ამაგდარი კაცის სახელთან დაკავშირებული მედალი, გამოგვეცა მონოგრაფია (ქართულ-ინგლისურ ენაზე), სადაც ყველა იმ პიროვნებას მივაგებდით პატივს, ვინც ბაღის შექმნა–აღორძინებაში მონაწილეობდა.*

*გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ა. კრასნოვის ძეგლი, როგორც იმპერიის სიმბოლო და ბაღის არქიტექტორ-დეკორატორის იასონ გორდეზიანის ჯერ დაუდგმელი ძეგლი და დავიწყებული სახელი.*

*ჩვენს დროებაში, როცა დასმენის ინსტიტუტმა თითქმის ოფიციალური სტატუსი მიიღო, ღირებულებათა სისტემა არ შეცვლილა და მაინც შეფასების ოდინდელი კრიტერიუმებით ჩანს წარსული. „რაც იყო, იგივე იქნება და რაც არის, ის უკვე იყო“.*

*ცილისმწამებელთა ნაწილმა დღეს უკვე აწმყოდან წარსულში გადაინაცვლა და ჩვენთვის ესოდენ ძვირფას სახელებს, 37-ში წამებულ ქართველ მწერლებსაც შეეხო. ფილმების, გადაცემების თუ საგაზეთო-საჟურნალო სტატიების დიდი ნაწილი შექმნილია იაფფასიანი ეფექტებით, რეპრესირებულთა შთამომავლების მიზნობრივი დაპირისპირებით... საკითხის სიღრმისეული არსის შესწავლის გარეშე შეთხზული ტექსტები არც წარსულის ნამდვილი სურათის წარმოსახვას, არც აწმყოს და არც მომავალს ემსახურება. ირღვევა თაობათა კავშირი, დროთა კავშირი და საერთოდ, კავშირი იმ რეალობასთან, რაც ნამდვილად არსებობდა და რაც დღეს თუ ხვალ, აუცილებლად შეგვახსენებს თავს.*

*„საქმე ისაა, რომ უზნეობის დამკვიდრების ცდასთან ერთად საფრთხეზე ექმნება ესოდენ საკრალურ, გასაფრთხილებელ ღირებულებას – სამშობლოს ბედს“ – ამგვარად აზოგადებს პრობლემას ბატონი რევაზ კვერენჩხილაძე, რომელმაც მრავალი ათეული წელი რეპრესირებულთა საქმეების შესწავლას მიუძღვნა და თვლის, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი და დასაზუსტებელი.*

*ამჯერად ბატონი რეზო შეძრულია პრობლემით, რომ „კომუნისტური რეჟიმის მიერ ქართველი მწერლების პოლიტიკური რეპრესიების კვლევაში ერთგვარი არაჯანსაღი ტენდენციები გაჩნდა“. უფრო დეტალურად კი თავად გიამბობთ.*

# „საფრთხე ექმნება სამშობლოს ბედს“...



– ბოლო წლებში კომუნისტური პოლიტიკური რეპრესიების კვლევას ისეთი შეფასებები მიატმასნეს, რაც ამ ისედაც მტკივნეული საკითხის უფრო დამძაფრებასთან ერთად უდანაშაულოდ დასჯილი ჩვენი საუკეთესო მოღვაწეების ხსოვნას შეურაცხყოფს.

„შინსახკომის“ მასალის გამოქვეყნებისას მკითხველს ვურჩევდით მხედველობაში მიიღოს რეპრესიების ეპოქისდროინდელი სასტიკი ვითარება, აუტანლობა იმ მორალური ზეწოლისა, საშინელი ფიზიკური ზემოქმედებისა, რასაც ათასში ერთი თუ გაუძლებდა.

თავის მხრივ, ჭირისუფალიც უნდა ერიდოს ცდუნებას – უფრო უკეთესად წარმოაჩინოს რეპრესირებული თავისიანი.

ჩემს პრაქტიკაში იყო შემთხვევა. ერთი ქალბატონი ხმამაღლა ამტკიცებდა: ჩემი ძმა გმირი იყო, ამას არ იტყოდაო!

არადა, ის ძმა არა მარტო დიდად ზნეობრივი ადამიანი, ჭკვიანიც კაციც გახლდათ და შთამომავლობას რომ გაეგო „შინსაკხომი“ რა დღეში აგდებდა ადამიანებს, ასეთი ძვირფასი საბუთი დაგვიტოვა რეაბილიტაციების დროს მიცემული ჩვენებისას:

*„ჩემს მიმართ ძალზე მძიმე რეპრესიებს იყენებდნენ და იძულებული გავხდი ჩემი თავისთვისაც ცილი დამეწამებინა და უდანაშაულო ადამიანებიც დამესახელებინა“ (ლევან გოთუა, საგამოძიებო საქმე №11796, ტ. 4, ფურც. 12-24).*

არც ის ვარგა, აქაოდა, ჩემიანი წამებული გმირი გვეგონა და ახლა რა გამოდის – მას ცუდი ჩვენებები მიუციაო და მავანმა რეპრესირებულის სურათიც არ მომცა: რაღად გინდა მისი წიგნში გამოჩენაო.

აქ მაგალითი უნდა ავიღოთ იმ ყოფილი პოლიტპატიმრისგან, რეაბილიტაციის დროს, დახვრეტილი პიროვნების ჩვენებები რომ დაუდეს წინ. სწორედ იმ ე. წ. დოკუმენტის საფუძველზე ამ ადამიანმა ათი წელი გაატარა გადასახლებაში.



ტიციან ტაბიძე,
პაოლო იაშვილი,
ვალერიან გაფრინდაშვილი

მან სულმოკლეედ კი არ წამოიძახა: „აი, ვის დავუღუპივარო!..“ არამედ კაცურად განაცხადა: **მე ხომ ვიცი, ამის დამწერი რა სპეტაკი ადამიანი, საქართველოს სინდისი იყო!..**

**მე ხომ ნამდვილად ვიცი, ის როგორ აღმერთებდა თავის პროფესორმასწავლებლებს, როგორ ერთგულობდა თავის მეგობრებს?!**

**მით უმეტეს, კარგად ვიცი, თავად მე როგორ მაწამეს შინსაკომის ჯურღმულებში!..**

**ეტყობა, ის უბედური ჩემზე უფრო გაუსაძლის სატანჯველსა და ვაებას შეჰყარეს, თორემ ასე როგორ გაწირავდაო უსაყვარლეს ადამიანებს!**

ორივე ეს მაგალითი გვასწავლის რა უსასტიკეს პირობებში იძლეოდნენ ჩვენებებს, უფრო ზუსტად, პატიმარს რაღაცას გამოგლეჯდნენ, შემდეგ თავიანთი მუხანათურ-მზაკვრული გეგმების შესაბამისად ამ ტექსტს აღიარებად ასაღებდნენ.

ყველაფერ ამას ცეკასა და ჩეკა-შინსახკომის კაბინეტებშიც თავზე ატეხდნენ შერისხულ, გასაწირად მიჩნეულ ხალხს.

ამიტომ ნუ მოინდომებთ თქვენიანის სხვაზე უკეთესად წარმოჩენას ვიღაცის ნაამბობის მოშველიებით. ჩვენ ხომ ვიცით, იმ ვიღაცებსაც მიზანმიმართულად ავრცელებინებდნენ ათას ტყუილს გასაწირად მიჩნეულის სახელის გასატეხად...

ნურც რაღაც „საბუთებით“ მოინდომებთ ზედაპირულ მტკიცებას. ჩვენ ხომ ვიცით, ის საბუთებიც რა შეთითხნილი ნაყალბევია.

**– ბატონო რეზო, ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიამ ე. წ. „გლასნოსტის“ და „პერესტროიკის“ პერიოდში განაცხადა, რომ რეპრესირებულთა არქივები არათუ საჯაროდ გაიხსნას, არამედ სამუდამოდ უნდა დაიხუროს, ვინაიდან იქ არსებული მასალა ისედაც მცირერიცხოვანი ინტელიგენციის შთამომავლებს ერთმანეთთან დააპირისპირებსო.**

– დიახ, ჩვენში კი მას მერეც და ახლაც არის შემთხვევები, როცა მშვიდობიან პირობებშიც, როცა არავინ არავის არაფერს აძალებს, საკუთარი ნებით, ვითომცდა დოკუმენტებზე დაყრდნობით, ასმენენ პიროვნებებს. არადა, თვით ცნობილი ჯალათის საშურკინის შვილიშვილმა საზოგადოებას ბოდიში მოუხადა... მავანნი კი დღეს შეტევაზე გადმოდიან...

განა ერთი და იგივეა,როცა არავინ გაიძულებს, ისე ასმენდე და, მეორე მხრივ, საშინელი მორალური (დახვრეტის, ცოლშვილის ამოწყვეტის მუქარით) და სასტიკი ფიზიკური ზემოქმედების ზეგავლენით? შინსახკომი რომ პატიმარს რაღაცას გამოგლეჯდა და თავისებურად, რედაქტირებულად გაავრცელებდა?

რატომღაც თანდათან გზა გაიკვლია მოსაზრებამ – ჩვენი ქვეყნის უდანაშაულოდ რეპრესირებულ საუკეთესო შვილებივით კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლნი არიანო მათი გამწამებელ-დამამცირებელი პარტიული ფუნქციონირებიც და ჯალათი შინსახკომელებიცო, რომლებიც შემდგომში დახვრიტეს.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სატელევიზიო სერიალში **„1937“** ერთ სიბრტყეზე დააყენეს წამებულ-დახვრეტილი საქართველოს საუკეთესო შვილები და მოგვიანებით რეპრესირებული ის ჯანიანი სპორტსმენი, რომელიც დღისით რუსთაველზე ყელყელაობდა, ღამით კი, როგორც შინსახკომელს, მძიმე მუშტებით სიკვდილის პირამდე მიჰყავდა პატიმრები (მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი) – აქაოდა ორივე კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლიაო.

**ჩვენი აზრით, ამ ფილმში აქცენტები ტენდენციურადაა გაკეთებული. მაგალითად, მიმაჩნია, რომ ტენდენციურადაა წარმოჩენილი პაოლო იაშვილის როლი ვლადიმერ ჯიქიას საქმესთან დაკავშირებით.**

ხომ არ შეეპარა იგივე სენი ჩვენს ზოგიერთ ჟურნალსა და გაზეთს, მათ შორის, ჩემგან დიდად პატივსაცემ **„ასავალ-დასავალს“?! იქ დაბეჭდილ მასალებშიც გამოჩნდა ტენდენციური მიდგომა პაოლო იაშვილის პიროვნების მიმართ.**

მთავარი სიმძიმე რეპრესირებულებთან დაკავშირებულ „ფაქტებზე“ კი არ უნდა გადავიტანოთ, არამედ მაშინ არსებული რეჟიმის, ანუ კომუნისტური ხელისუფლების და მისი სადამსჯელო მანქანის სისასტიკესა და დაუნდობლობაზე, რაც ყველა უბედურების წარმომშობი იყო.

საქმე უფრო უარესობამდეც მივიდა – ვიღაცები ამტკიცებენ: ბერიას საქართველოსთვის სიკეთე უნდოდაო...

ზემოხსენებულ სერიალშიც, თვით შინსახკომის იმ საბუთს, ცნობილ დოკუმენტს რომ არ გამოიყენებ, მიხეილ ჯავახიშვილის სასტიკი ცემისას ბერია იცინოდაო, ამავე დროს უმეტესად ერთი მხარის მტკიცე უფლებებს წარმოაჩენ, – რაღა თქმა უნდა – ბერიას საქართველოსთვის სიკეთე უნდოდაო, მალე ქუჩებსაც აღუდგენენ მის სახელს და ა. შ.

როდესაც ამის მთქმელს წინ დაუდებ თვით მოსკოვის **„მემორიალის“** მიერ ინტერნეტში განთავსებულ სტალინის ხელმოწერილ დასახვრეტთა სიებს (მათ შორის არიან საქართველოს საუკეთესო შვილები: გრიგოლ წერეთელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი...) – გვიპასუხებენ: ეს სიები ნაყალბევიაო.

საქართველოს საზოგადოება **„მემორიალს“** და მის საბუთებს რატომღაც იგნორირებას უკეთებენ. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ერთ-ერთი ძალიან საინტერესო ექსპოზიცია **„პატიმარი ქალები“** გუშინ **„კავკასიური სახლის“** საგამოფენო დარბაზში გაიმართა.

სამწუხაროა, რომ დღეს რეპრესიების ეპოქის ნამდვილი ანალიზი ზედაპირულმა თხრობამ შეცვალა და ე. წ. „საქმეები“ ჭორებისა და მითქმა-მოთქმის დონეზე ირჩევა.

მიიხედ-მოიხედეთ – ხელში შემოგვრჩა საუკეთესო ქართველებმომსპარი, რუკაზე ისედაც წერტილისოდენა საქართველოდან ნახევარჩამოჭრილი, ნახევარწერტილად ქცეული სამშობლო.

**სამშობლო კი უპირველესად პაოლოს, ტიციანის, ჯავახიშვილის და სხვათა და სხვათა ძვირფასი სახელებია, რომლებიც საყრდენებივით უდგანან ქვეყანას და ჩვენს სულიერებას... ვიღაცას სურს გამოგვაცალოს ეს საყრდენები!**

სანამდე უნდა ვიყოთ ასეთი გულუბრყვილონი, უკანმოუხედავად მიმდობნი, დაქსაქსულნი?!

**რევაზ კვერენჩხილაძე**



## გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“ ყვარელში

8 ნოემბერი განსაკუთრებული დღეა ყვარლელებისთვის. იქ, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღის აღსანიშნავად, თითქმის მთელი საქართველო ჩადის. ჩემმა ყვარლელმა კურსელმა და მეგობარმა დამპატიჟა და სასიამოვნო მოლოდინით გავეშურე კახეთისკენ. ზეიმი ახლაგარემონტებულ და რესტავრირებულ ილიას სახლ-მუზეუმში ჩატარდა. სიტყვებით გამოდიოდნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და თითქოს ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

ქეიფობდნენ ყველგან, ვაჭრობდნენ სუვენირებით თუ ჩურჩხელებით... ისმოდა დოლ-გარმონის ხმა...

ოფიციალური ზეიმის შემდეგ რესტორან **„კავკასიაში“**, სადაც შეკრებილნი თავიანთი დიდი წინაპრის დაბადების დღეს სადღეგრძელოებით და სიმღერებით აღნიშნავდნენ, წალაპარაკების შემდეგ ჩხუბი ატყდა. მუშტიკრივმა და დედის გინებამ თითქმის გადაფარა ილიას ლექსებიც და მისი თაყვანისმცემლების განწყობილებაც. უსიამოვნო ატმოსფერო შეიქმნა. ჩემს ცნობიერებაში გურამ რჩეულიშვილის **„ალავერდობა“** ამოტივტივდა, თითქოს მისი კახური ვარიანტი გათამაშდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ბევრად სასტიკი აღმოჩნდა: შენობაში შეიჭრნენ სამართალდამცავები – ყვარლის რაიონული პოლიცია და დაიწყეს ყველას განურჩევლად ცემა, მათ შორის ბავშვებისაც. ყველას დაავიწყდა „ვნების სიმძაფრისგან“ შექმნილი ალავერდიც და ილიას სახლიც.

**ილიაობის სახალხო დღესასწაული „დაგვირგვინდა“ ციხის კამერაში ჩასმული ახალგაზრდებით, ნაცემი ბავშვებით, გაოგნებული მოხუცებით...**

**ამჟამად გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის პერსონაჟი არ გამოჩენილა, რომელიც ტაძრის სიმაღლიდან გამოსაფხიზლებლად მოუწოდებდა თანამემამულეებს.**

**ვიმედოვნებთ, ის გმირიც მალე გამოჩნდება.**

**ნინო გელაძე,**
მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტი



## საკუთარ წინაპართა ღირსებისათვის...

ამ ბარათის დაწერის მთავარი მიზეზი ჩემი წინაპრებისადმი განსაკუთრებული მოკრძალებაა და სიყვარული. ვფიქრობ, მაქვს კიდეც სიამაყის უფლება. მამაჩემი **აკბარ ისლამოვი** ცნობილი უზბეკი საზოგადო მოღვაწეა, 37-ში დახვრიტეს, ხოლო ახლა მისი სახელობის ქუჩებია ტაშკენტსა და აკბარში. დედაჩემი **ქეთევან კლდიაშვილი,** ქართული ლიტერატურის კლასიკოსის **დავით კლდიაშვილის** ქალიშვილია. მამაჩემის დაღუპვის მერე თბილისში გადმოვსახლდით. აქაურმა კეთილმა ადამიანებმა გადაგვარჩინეს „ხალხის მტრის“ შვილი და მეუღლე... მორალურად თუ მატერიალურად გვეხმარებოდნენ... თვრამეტი წლის ვიყავი, როცა დამიჭირეს, არ ვიცი, რისთვის. დედაჩემი გაიქცა **პაოლოს ძმასთან ტუპია იაშვილთან.** იმან მაშინვე მწერლებს შეატყობინა. ქართველი მწერლების მთელი ჯგუფი მოვიდა და დამიხსნეს. ვინ ვიყავი მე – უზბეკი ბიჭი ქართველი მწერლებისთვის? იმათ მაშინ თავის დიდ ლიტერატურულ წინაპარს დავით კლდიაშვილს მიაგეს პატივი...



**ამ ფოტოზე დავით კლდიაშვილია ოჯახთან ერთად.** შორეული შთამომავლებიც კი, რა თქმა უნდა, ვიცნობთ ერთმანეთს და ვფიქრობთ, ყველას გვაწუხებს ერთი დელიკატური საკითხი: ერთი თვის წინათ, თერჯოლაში, დავით კლდიაშვილის იუბილეზე, მწერლის უშუალო შთამომავლად ბ-ნ **რეზო კლდიაშვილი** წარადგინეს. ამას მთელი საზოგადოება უყურებდა, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტიც. ის, რომ ბატონი რეზო დავითის არც შვილიშვილია და არც შვილთაშვილი, ყველამ ვიცით, მაგრამ რატომღაც წლების მანძილზე ვუსმენთ და პრესაშიც ვკითხულობთ რეზო კლდიაშვილის გენიალოგიურ ფანტაზიას. მართალი გითხრათ, არ ვიცით, ის სადაური კლდიაშვილია. ან რისთვის სჭირდება ეს? რატომ არ სცემს პატივს თავის ნამდვილ წინაპრებს? უფრო მეტიც, დავით კლდიაშვილის ნაწარმოები **„როსტომ მანველიძე“**, როდესაც თეატრში „ძველი სახლი “ დაიდგა, მან საკუთარი გვარიც მიაწერა. აფიშა იუწყებოდა: **„დავით კლდიაშვილი, რევაზ კლდიაშვილი – „როსტომ მანველიძე“.**

ჩვენ მაშინ „საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებას“ მივმართეთ. **სამწუხაროა, რომ მრავალი წლის შემდეგ დავით კლდიაშვილის საავტორო უფლებების დაცვა მოგვიხდა.** ექსპერტთა ოფიციალური დასკვნა კანონით განსაზღვრულ დოკუმენტებს ეყრდნობოდა: **„რომ რევაზ კლდიაშვილის დავით კლდიაშვილთან თანაავტორობა გასაგები მიზეზების გამო არ შეესაბამება სინამდვილეს“.**

ჩვენ ბატონ რეზოს წარმატებას ვუსურვებთ ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში, მაგრამ ვთხოვთ, პატივი სცეს საკუთარ წინაპრებს და ჩვენი წინაპრის შთამომავლად ნუ წარმოადგენს თავს.

**პატივისცემით**

**თემურ ისლამოვი,**
დავით კლდიაშვილის შვილიშვილი.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი და საქართველო თავისას კიდევ იტყვიან

**ჟენევის მოლაპარაკების ახალი რაუნდი ამიერკავკასიაში უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით გაიმართება 2010 წლის 28 იანვარს. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა გრიგორი კარასინმა კი, როდესაც აფასებდა წინა დღით გამართულ მერვე რაუნდს, აღიარა, რომ მისმა მონაწილეებმა მაინც ვერ შეძლეს შეთანხმებულიყვნენ ძალის გამოუყენებლობის პრინციპების შესახებ.**

მოლაპარაკების წინა დღით ჟენევის სასტუმრო „ინტერკონტინენტალის“ ჰოლში შეიძლებოდა თვალყური გედევნებინა გასაოცარი სურათისთვის. ოსეთის, აფხაზეთის, რუსეთისა და საქართველოს დელეგაციები ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს წარმომადგენლებთან ერთად ისხდნენ პატარა მაგიდებთან და მშვიდობიანად საუბრობდნენ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ არავითარი ომი საქართველოში არ ყოფილა და, რომ დელეგაციები ჩავიდნენ ჟენევაში, რათა დაისვენონ და მიირთვან ყავა. სინამდვილეში კი ყველას ესმოდა, რომ მხარეთა პოზიციები პრინციპულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

რუსეთის დელეგაციამ ჯერ კიდევ მოლაპარაკების მერვე რაუნდის დაწყებამდე განაცხადა, რომ კვლავინდებურად მოითხოვს საქართველოსგან ხელშეკრულების ხელმოწერას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ეს მოთხოვნა დაასამარა უკვე არა ერთმა რაუნდმა, არამედ ოთხმა: საქართველოსთვის ასეთი ხელშეკრულებისთვის ხელმოწერა ნიშნავს, უარი თქვას მისგან გამოყოფილ ტერიტორიებზე.

გაეროს ჟენევის ოფისში ჯერ კიდევ კონსულტაციების დაწყებამდე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების დაბალი ეფექტიანობის მთავარი პრობლემა არის „საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ბევრი ქვეყნის უარყოფითი დამოკიდებულება“ – აღიარონ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. მიუხედავად ამისა, ბატონი კარასინი ახალი რაუნდის იმედებს არ კარგავდა და ვარაუდობდა, რომ „რთული დისკუსია“ დამთავრდებოდა იმით, რომ, ადრე თუ გვიან „ძალის გამოუყენებლობის შესახებ გარანტირებულ და საერთაშორისოდ დამავალდებულებელ დებულებას“ ხელი მოეწერება.

„იმ სახით, რა სახითაც რუსეთი მოითხოვს ხელმოწერას შეთანხმებაზე, საქართველო ხელს არ მოაწერს, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი ბოკერიამ, რომელიც საქართველოს დელეგაციას უდგას სათავეში. საქართველომ შეასრულა ყველა თავისი ვალდებულება, რომლებიც გათვალისწინებული იყო მედვედევ-სარკოზის შეთანხმებაში, მაშინ, როდესაც რუსეთმა დღემდე არ შეასრულა პუნქტი 5 და არ გაიყვანა თავისი ჯარები იმ პოზიციებიდან, რომლებიც მათ ეკავათ 2008 წლის 7 აგვისტომდე. ერთი შეთანხმების დარღვევით რუსეთი მოითხოვს ჩვენგან ახალი შეთანხმებისთვის ხელმოწერას“.

უთანხმოება მოლაპარაკების მონაწილეთა შორის გამოვლინდა ოფიციალური დისკუსიის დასაწყისიდანვე. რუსეთის ფედერაციის დელეგაციამ ევროკავშირის წარმომადგენლებისგან მოითხოვა, შეაფასონ ჰაიდი ტალიავინის კომიის მოხსენება. ბატონ კარასინის დაბეჯითებული მოთხოვნით, ევროკავშირის წარმომადგენლებს უნდა დაეფიქსირებინათ აგრესიის ფაქტი საქართველოს მხრიდან 7 აგვისტოს, და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა რუსეთი მზად, განეხილა სხვა საკითხები. „ტალიავინის მოხსენება – ეს არის ფაქტების კრებული, რასაც ადგილი ჰქონდა კონფლიქტის ზონაში და მას არ ჰქონია დასახული ვინმესთვის ბრალდების გამოტანის ამოცანა, – განაცხადა დისკუსიის თანათავმჯდომარემ პიერ მორელმა. „სანამ არ იქნება სააკაშვილის მოქმედებათა საერთაშორისო შეფასება, ჩვენ მკვდარი წერტილიდან ვერ დავიძვრებით“, – მხარი დაუჭირა ბატონ კარასინს სამხრეთ ოსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ბორის ჩოჩიევმა.



„რუსეთი ხედავს ტალიავინის მოხსენების მხოლოდ იმ ნაწილს, რომლის დანახვაც სურს, – გვითხრა ბატონმა ბოკერიამ. – იგი ხედავს პირველ წინადადებას, სადაც ნათქვამია, რომ 7 აგვისტოს საქართველომ შეიყვანა ჯარები ცხინვალში, მაგრამ მეორეს, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა ვითარების ესკალაციისთვის და გამოუვალი სიტუაციის შექმნისთვის, მოსკოვი დაჟინებით ვერ ამჩნევს“.

მხარეებმა კონსენსუსს ტალიავინის მოხსენების განმარტებაში ვერ მიაღწიეს.

განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა სამხრეთ ოსეთის მხრიდან ოთხი მოზარდის დაკავება, რომლებმაც გადალახეს საქართველო-ოსეთის საზღვარი. შეგახსენებთ, რომ ოთხი მოსწავლე ქართულ სოფელ ტირძნისიდან დააკავეს სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საზღვრის უკანონო გადალახვისთვის. მალე ცხინვალმა განაცხადა, რომ მოზარდებს აღმოუჩინეს იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

„ესენი ჩვეულებრივი ბავშვები არიან, ერთ-ერთი მათგანის მამა ცხინვალში ცხოვრობს და ბიჭი ამხანაგებთან ერთად მასთან მიდიოდა, – აღნიშნავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი. – აქამდე კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმის ჩარჩოებში მოქმედებდა შეთანხმება, რომ მცხოვრებლებს, რომლებიც გადალახავენ საზღვრებს, არავინ შეეხება: ხალხი ხელოვნურად გაჰყო ომმა, ისინი მაინც ივლიან ერთმანეთთან. მაგრამ ამას წინათ ოსურმა მხარემ დაარღვია შეთანხმება, ტყეში დააკავა 16 ჩვენი ტყის მჭრელი. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა გააკეთა რამდენიმე მკვეთრი განცხადება, ხალხი გაათავისუფლეს. ამჟამად იგივე მეორდება მოზარდებთან დაკავშირებით. ოსური მხარე უგულებელყოფს ერთადერთ წარმატებას ჟენევის პროცესისა – კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმს“.

საქართველოს მხარის მოთხოვნის პასუხად, ბორის ჩოჩიევმა თბილისისგან მოითხოვა გაათავისუფლოს სამხრეთ ოსეთის ხუთი მცხოვრები, რომლებიც საქართველოს პოლიციამ დააკავა. წინადადება „ყველანი ყველაზე“ გაისმა, როგორც ულტიმატუმი. ბატონი ჩოჩიევი დაიმუქრა, რომ თუ თბილისი არ გაათავისუფლებს ყველა დაკავებულ ოსს, ცხინვალი დაბლოკავს სამუშაო შეხვედრებს საზღვრისპირა ერგნეთში, რომლებიც მიმდინარეობს კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმის ფარგლებში. ეს დამუქრება ნიშნავდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების დაკავება ერგნეთში საზღვრის გადაკვეთის დროს რეგულარული შეიძლება გახდეს.

საერთაშორისო სტრუქტურების წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეთა დაკავებას დაუშვებელი უწოდეს და მოუწოდეს მხარეებს, გადაწყვიტონ ეს საკითხი რაც შეიძლება მალე. უახლოეს პერიოდში ცხინვალის ციხეში დატყვევებულების მონახულებას აპირებს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამამბერგი.

ნებისმიერი ინციდენტის თავიდან აცილების მიზნით ქართულმა მხარემ დააყენა წინადადება, მოეწყოს საერთაშორისო მონიტორინგი კონფლიქტის ზონაში. მაგრამ ეს იდეა დაბლოკა რუსეთის დელეგაციამ, რომელმაც მიუთითა იმას, რომ სამხრეთ ოსეთს არ სურს იხილოს თავის ტერიტორიაზე მეთვალყურეები.

„რუსეთი ბლოკავს ყველა ჩვენს ინიციატივას, იმიტომ, რომ ჩვენ მოვუწოდებთ გაძლიერდეს რეგიონში ევროპელთა ყოფნა, – განაცხადა საქართველოს დელეგაციის წევრმა ლორიკ მარშანიამ. – რუსეთს არ სურს იქ საერთაშორისო მეთვალყურეები, ვინაიდან ჯერჯერობით ვერ დამშვიდებულა და თუ საქართველოს წევრობა ნატოში გახდება ახლო რეალობა, რუსეთი შეიყვანს თბილისში თავის ჯარებს“.

უნაყოფო აღმოჩნდა მოლაპარაკება მეორე ჯგუფისთვისაც, რომელიც მუშაობს ჟენევის დისკუსიის ჩარჩოებში ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებზე. „ვიდრე პირველი ჯგუფი ვერ გამოძებნის შეხების წერტილებს, ვერ მოწესრიგდება კონფლიქტის თავიდან აცილებისა და მოწესრიგების მექანიზმი, სანამ არ იქნება უზრუნველყოფილი ელემენტარული უშიშროება, აზრი არა აქვს განხილვას ლტოლვილების დაბრუნების შესახებ“, – განაცხადა მეორე ჯგუფის წევრმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ ალან პარასტაევმა.

და მართლაც, ჟენევის ფორმატის არსებობის ერთი წლის განმავლობაში ჯგუფის მუშაობამ ლტოლვილების შესახებ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. საერთაშორისო კომისიის ერთადერთი მცდელობა – უზრუნველყოს სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული დახმარების შეტანის ორგანიზაცია, წააწყდა გადაულახავ წინააღმდეგობას: სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ მოითხოვა, რომ ჰუმანიტარული ტვირთი მათთან ჩაიტანონ ვლადიკავკაზიდან, გაეროს მისია კი დაბეჯითებით მოითხოვს ტრანზიტს თბილისის გავლით. გამოდის, რომ მოლაპარაკებამ ჟენევაში ვერ უზრუნველყო სამხრეთ ოსეთში პურის შეტანაც კი.

„ევროკავშირს არ შეუძლია მოახდინოს რუსეთზე ზემოქმედება მედვედევ-სარკოზის შეთანხმების შესრულებაშიც კი, – დაიჩივლა ჩვენთან მოლაპარაკების ერთ-ერთმა მონაწილემ. – რუსეთი ამბობს, რომ ამჟამად სხვა რეალიებია და, რომ ეს შეთანხმება მოძველდა. და ვიდრე ევროკავშირს არ ექნება რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტები, ყველა ეს შეხვედრა საქმიანობის მხოლოდ ილუზიაა“.

სამხრეთ ოსეთში ოთხი ქართველი მოზარდის დაკავება, რის შესახებაც მიმდინარეობდა საუბარი ჟენევაში მოლაპარაკების უკანასკნელ რაუნდზე, არ არის ერთადერთი ამგვარი შემთხვევა. ორი სამართალდაცვის ორგანიზაცია – რუსეთის ფონდი „სამართლებრივი ინიციატივა რუსეთში“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია – წლის დასაწყისიდან ცდილობენ გაარკვიონ შვიდი პიროვნების ბედი, რომლებიც დააკავეს საქართველოს და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებმა. რუსეთის ფონდის ექსპერტმა ვარვარა პახომენკომ გვითხრა, რომ სექტემბერში ორმა ორგანიზაციამ გაგზავნა საჩივარი საქართველოსა და რუსეთზე ევროპის ადამიანთა უფლების სასამართლოში მოთხოვნით, მოახდინოს რეაგირება დაკავებულთა სიტუაციასთან დაკავშირებით. ქალბატონმა პახომენკომ განგვიმარტა, რომ სამხრეთი ოსეთი „არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ამიტომ მომხდარზე იქ პასუხისმგებელია რუსეთი“. მაგრამ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურიდან მოვიდა პასუხი, რომ „მოთხოვნა გადაიგზავნა სამხრეთ ოსეთში“.

**ოლგა ალიონოვა,**
**იგორ სედიხი**
**Коммерсантъ**

# გადაიხადეთ გამოსასყიდი ან მიბრძანდით ციხეში, – ასეთი არჩევანის წინ დააყენა მიხეილ სააკაშვილმა ბიზნესმენები

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დირექტორი კონსტანტინე ქამუშაძე უახლოეს ორ თვეს ციხეში გაატარებს. სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. გამოძიებას ეჭვი აქვს დირექტორსა და მის ორ თანამშრომელზე, რომ მათ ბიუჯეტს დაუმალეს მილიონ-ნახევარი ლარი. ეს დაახლოებით 900 ათასი დოლარია.**

უკანასკნელი კვირების განმავლობაში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც აპატიმრებენ სახელმწიფოს მიერ დაწესებული სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელს. რეჟიმის ზოგმა ოპონენტმა ამ საქმეებში ქვეყანაში გამეფებული „ელიტური კორუფციის“ დადასტურება დაინახა. მეორეებმა – „ზემოთ“ კლანების ბრძოლის დადასტურება. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც მიაჩნიათ: ხელისუფლება ცდილობს შეავსოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ქართველმა „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ პრაქტიკაში დაამკვიდრეს მდიდარი ჩინოვნიკების დაპატიმრების პრაქტიკა უმალვე ვარდების რევოლუციის შემდეგ. მათ ათავისუფლებდნენ სასამართლო დევნისგან სოლიდური თანხების გადახდის შემდეგ და ეს თანხები ათეული მილიონობით დოლარია. მოიფიქრეს სპეციალური ტერმინიც კი – „პროცესუალური შეთანხმება“.

მაგრამ ამჯერად, როდესაც დამთავრდა „შევარდნაძისეული ნუვორიშები“, ხელისუფლებამ თავის დანიშნულებს მიმართა, ამტკიცებს ზოგიერთი პოლიტოლოგი. იმიტომ, რომ, თითქოს, ახალგაზრდა მგზნებარე და ძალიან ხშირად გამოუცდელ ხელმძღვანელებს შესაძლებლობა მისცენ, იცხოვრონ თავის ნებაზე და კმაყოფილებით. შემდეგ კი აყენებენ არჩევანის წინაშე – ან ციხე, ან ნაღდი ფული. ეფექტი – სამმაგია. აქ არის წარმატებული ბრძოლაც თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან და თავიანთი რიგების წმენდის დემონსტრაციაც, აგრეთვე ფინანსური მოგებაც.

„საბიუჯეტო შესატანებს“ იხდიან კერძო მესაკუთრენიც. დიდებიც და პატარებიც. ამ დღეებში საგადასახადოებმა მიმართეს ისეთ დიდ კომპანიებს, როგორებიცაა „ჯეოსელი“ და „ყაზბეგი“. პირველი – ლიდერია ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარი, მეორე ეკუთვნის „ლუდის მეფე“ გოგი თოფაძეს. თბილისელი ჟურნალისტები ამბობენ, რომ „ჯეოსელს“, მაგალითად, დარღვევების გამოვლენის გამო მოუწევს გადაუხადოს ბიუჯეტს ასი მილიონი ლარი!

რამდენს გადაიხდის „ყაზბეგი“, უცნობია. ან კი გადაიხდის განა?! მისი ხელმძღვანელი იმუქრება, რომ დახურავს სათავო საწარმოს, სადაც 350 კაცი მუშაობს. ის კატეგორიულად არ ეთანხმება ხელისუფლების მოთხოვნას, გადასახადი დაუწესოს კომპანიის თანამშრომლების უფასო კვებას და იმ მოწყობილობას, რომლებიც უსასყიდლოდ გადაეცემა სუპერმარკეტებს, მცირე სავაჭრო წერტებსა და რესტორნებს.

მაგრამ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადახდების გამო ყველაზე დიდ დარტყმებს მიიღებენ მცირე მეწარმეები. აჯარიმებენ, ვინც ხელში მოხვდებათ – ყველაზე ხშირად ყალბი საბაბით.

– ყველამ კარგად იცის, რომ ხელისუფლება – „ბიზნესის დირექტორია“, – ამბობს პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი. – ამიტომ იმავე „ჯეოსელში“ საგადასახადო სამსახურის თანამშრომელთა გამოჩენამ სულაც არ უნდა გაგვაოცოს. ახლა წლის ბოლოა და სავსებით შესაძლებელია, რომ მთავრობამ მიმართოს ამგვარ მეთოდს, რათა შეავსოს ბიუჯეტი.

**კირილ კოლოდინი**
**ИЗВЕСТИЯ**
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე




**აშშ-მა ირანთან დაკავშირებით სანქციები კიდევ ერთი წლით გაზარდა**

ამის შესახებ ობამამ აცნობა პარლამენტს და განაცხადა, რომ „ჩვენი ურთიერთობა ირანთან ჯერ კიდევ არ არის ნორმალიზებული“. ეს გადაწყვეტილება ტექნიკურია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ყოველ წელს აგრძელებს ამ დოკუმენტის მოქმედების ვადას. მაგრამ წელს ნორმატული დოკუმენტის გაგრძელება დაემთხვა თეირანის უარს, გაგზავნოს თავისი ურანი.

* * *

**ფილიპინებზე მაოისტებმა მოაწყვეს ტყის მჭრელთა ხოცვა-ჟლეტა: დაიღუპა 23 კაცი**



მაოისტების დაჯგუფება შეიჭრა კომპანიის ტერიტორიაზე, მოკლა ორი მცველი და პოლიციის ოფიცერი. შემდეგ, როდესაც მაოისტებმა დაიწყეს ნაგებობებისთვის ცეცხლის წაკიდება კომპანიის ტერიტორიაზე, მათი დაჯგუფება გაანადგურეს სასწრაფოდ მოსულმა არმიის ქვედანაყოფებმა.

* * *

**ყირგიზეთში დეპუტატები აყენებენ წინადადებას, აღდგეს სიკვდილით დასჯა, რათა არ დაიხარჯოს ფული მკვლელებისა და მოძალადეების შესანახად**




უკანასკნელი თვეების განმავლობაში სასჯელის უმაღლესი ზომის თემა აქტიურად განიხილება ქვეყანაში. ჰუმანურობისა და სასამართლო შეცდომებისგან კონფლიქტში შევიდა სურვილთან, დაიზოგოს საბიუჯეტო ფული და თავიდან აცილებულ იქნენ პოტენციური დამნაშავეები.

* * *

**მსოფლიოში ყველაზე ძვირი ძროხა გაიყიდა 1,2 მილიონ დოლარად**

სამი წლის შავ-თეთრი ტოლშინური ჯიშის ძროხა სახელად „გოლდ მისი“ – ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა ჩრდილოეთ ამერიკაში. სუპერელიტური ცხოველი გაჩნდა ბლოის ტომსონის ფერმაში ქალაქ ფრენჩფორტის მახლობლად.



**გვეხმაურებიან**

# მის სახელს წაშლა არ უწერია

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჟურნალისტ ვილენ მარდალეიშვილის საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა ვლადიმერ ჯიქიას სახელობის ქუჩისთვის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით.**

მიმაჩნია, როდესაც პიროვნებათა სახელებს ვეხებით, მეტი დაკვირვება და სიფაქიზეა საჭირო, რადგანაც ამით ვეხებით არაჩვეულებრივ ტრადიციებს, ისტორიას, ადამიანებს, ვინც ქმნის ჩვენი ქვეყნის მატიანეს. არავინ დავობს, რომ გადასარქმევია ტრიკოტაჟის, ხუთწლედისა და თუნდაც ჩაპაევის ქუჩები, მაგრამ პაოლო იაშვილთან, ვლადიმერ მაიაკოვსკისთან, სანდრო ახმეტელთან დაკავშირებული პიროვნების, საქართველოს ტექნიკური ინტელიგანციის თვალსაჩინო მოღვაწის, 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლის, ვალოდია ჯიქიას სახელი წარუშლელია. იგი — ქართული საინჟინრო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი — ცნობილი ადამიანების მეგობარი და ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ. და მის სახელს წაშლა არ უწერია.

**მალხაზ დოლიძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მეწარმე**

**შეხვედრა წარსულთან**

# პელეს „ფოფოდია“ მირჩევნიაო...

**60-იანი წლების მაშინდელ კიროვის (დღეს ვერის) ბაღი ფეხბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივართა ნამდვილი მექა გახლდათ. ვის არ შეხვდებოდით აქ — მწერლებს, არქიტექტორებს, მოქანდაკეებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინორეჟისორებს, სპორტულ ჟურნალისტებს, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელებს და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. ბაღის გულშემატკივართა საკმაოდ მცირე ნაწილს სამხრეთამერიკული ფეხბურთი იტაცებდა, ხოლო დამსვენებელთა უდიდეს ნაწილს და მათ შორის გულშემატკივართა ბელადად შერაცხულ ქართლოს სვანიძეს, ევროპული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელთა თამაში ხიბლავდა. ჩვენ მეგობრულ დავა-კამათს, თუ რომელი სკოლაა საუკეთესო, ბოლო არ უჩანდა, რის გამოც ხშირად თავზე გვათენდებოდა ხოლმე.**

ერთ საღამოს ნოდარ დუმბაძე გვესტუმრა. ჯვებე სასაცილო ისტორიებს გვიამბოგდა. მის ირგვლივ ძალიან ფართო აუდიტორიას მოეყარა თავი. როცა სიცილ-ხარხარით გული ვიჯერეთ და ვერის ბაღს მთვარემაც გადმოხედა, მერხიდან ქართლოს სვანიძე წამოდგა და ნოდარ დუმბაძეს მიმართა:

— ჯვებე (ასე შემოკლებით ვეძახდით პოპულარულ მწერალს.ძ, შენთან ერთი თხოვნა მაქვს. აი შალვა ქირიამ ტვინი გამომჭამა. იგი დაბეჯითებით მიმტკიცებს, რომ ბრაზილიური ფეხბურთი მდიდარ იმპროვიზაციაზე აგებული თამაშია, რომლის ძირითადი ხელწერაა ცრუ მოძრაობათა მთელი კასკადი. სწორედ ამ „პაპუასების“ ქვეყანაში იბადებიან პელე-გარინჩას დარი სუპერვარსკვლავები, ევროპული კლუბები კი ამ „პაჭანიგებით“ არის სავსეო (60-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ 1958 წლის ზაფხულში შვედეთში ბრაზილიის ნაკრებმა, როგორც ვიცით, პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.ძ. მე კი, ჩემო ნოდარ, მას ვუმტკიცებ, რომ ევროპული და, კერძოდ, ესპანური ფეხბურთი არის ვაჟკაცური, ტემპერამენტიანი, მაღალტექნიკური. აი ისეთი, ბასკური, ჩვენს ქართულ ხასიათს რომ მიესადაგება. ჰოდა, ჩემი თხოვნა ის იქნება, შენ გამოიტანო დასკვნა, რომელი კონტინენტის ფეხბურთი სჯობს, ბრაზილიური თუ ევროპული?

ნოდარ დუმბაძე ორთავე მოკამათეს მშვენივრად გვიცნობდა. ვერის ბაღში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჯვებემ გულდასმით შეგვავლო თვალი, შემდეგ ცოტა იყოყმანა, პირიდან სიგარეტი გამოიღო და რიხიანად განაცხადა:

— მე პირადად, ჩემო ძმებო, იმერული ხაჭაპური მირჩევნია!

კიროვის ბაღში, იმ გამთენიისას ისეთი ხარხარი ატყდა, რომ მილიციელის ყურადღებაც მივიპყარით.

**შალვა ქირია,**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი.**

**ხედვა ოკეანის გაღმიდან**

# მუდმივი დიალოგი...

**ამა წლის 1 სექტემბერისთვის ამერიკის პრეზიდენტი გდანსკში ფაშისტური გერმანიის პოლონეთზე თავდასხმის აღსანიშნავ ღონისძიებაზე სამი თვით ადრე დაპატიჟეს (გაზეთი The Washington Times, 1.09.09). თეთრმა სახლმა პოლონელებს უარით უპასუხა და განაცხადა, რომ უქმე „შრომის დღის“ ჩათვლით, ანუ 8 სექტემბრამდე ბარაკ ობამა შვებულებაში არისო.** პოლონეთის ოფიციოზმა ხუმრობის გარეშე ბოდიშიც კი მოიხადა იმასთან დაკავშირებით, რომ ადოლფ ჰიტლერი პოლონეთს სწორედ პირველ სექტემბერს დაესხა თავს. სამაგიეროდ, ამ დღეებში პრეზიდენტმა უეცრად მიიღო გადაწყვეტილება, დადევნებოდა თავის ცოლს, რომელიც უკვე გაემგზავრა კოპენჰაგენში 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ჩიკაგოში ჩატარების ლობირებისთვის ერთი-ორ ამერიკელ მინისტრთან და ქმრის წინასაარჩევნო კამპანიის დამფინანსებელ, ჩიკაგოელ, მედია-მილიონერ ოფრა უინფრისთან ერთად. ადრე, საოლიმპიადო ქალაქის დასასაკუთრებლად სინგაპურში ტონი ბლერი, ხოლო გვატემალაში — ვლადიმირ პუტინიც გაისარჯნენ. თუმცა აღმოჩნდა, რომ ჩიკაგოშ ოლიმპიური თამაშების ჩატარებას ბევრი ამერიკელი ეწინააღმდეგება და ამიტომ დემოკრატიული აშშ-დან კოპენჰაგენში ლობისტებთან „ერთად“ მწარე ანტილობისტებიც გაფრინდნენ.

ჩიკაგო ცოლ-ქმარ ობამების მშობლიური ქალაქია და ადვილად შეიძლება მიხვდეთ, რატომაა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ობამას გარშემო ჩიკაგოელების ასეთი სიმრავლე. ამბობენ, პრეზიდენტის ვოიაჟი იმითაა გამოწვეული, რომ მან ჩიკაგოელ დემოკრატებს „ისტებლიშმენტს“ ვალი უნდა გადაუხადოსო (ობამას წარმოჩენაში ლომის წილი მიუძღვით.ძ, რადგან ოლიმპიადის მასპინძლად ჩიკაგოს დასახელების შემთხვევაში ქალაქი ბიუჯეტიდან 5 მლრ. დოლარს მიიღებს და, ისედაც დაინტერესებულ პუბლიკას ოლიმპიური თამაშების დედაქალაქობა კიდევ ბევრ სახეიროს ჰპირდება. ცნობილია ისიც, რომ ობამების დანიაში 250-კაციანი ამალითა და 4 თვითმფრინავით გამგზავრება 1 მლნ. დოლარი დაჯდა. ევროპისკენ გამგზავრებამდე კი გულაჩუყებულმა პრეზიდენტმა ერთი კვლევითი ინსტიტუტის მიკროსკოპში ჩაიხედა და განაცხადა — „ჩვენ გავიმარჯვებთ!“ — არა, ოლიმპიადა, გლობალური დათბობა, ტერორიზმი ანდა ირანი არ უგულისხმია. არც, მით უმეტეს, რუსეთი, რომელთანაც „პერეგრუზკის“ პროცესს აწარმოებს და მასთან ურთიერთობა უნდა დაეფუძნოს არა მიმართებას „გამარჯვებული-დამარცხებული“, არამედ — „გამარჯვებული-გამარჯვებული“ („დამარცხებული-დამარცხებული“ რა მოსატანია?ძ. ბარაკ ობამამ გამარჯვებაში კიბოს უჯრედების დამარცხება იგულისხმა და ამ საქმეზე ბიუჯეტიდან 5 მლრ. დოლარიც გამოჰყო. ეს თემა ობამასთვის მტკივნეულად ახლობელია, რადგან მისი დედა სწორედ კიბოსგან გარდაიცვალა.

ამჟამად აშშ-ში ეკონომიკური რეცესიაა და ამერიკელი მილიარდერებისთვის, და არა მარტო მათთვის, მტკივნეული ისიცაა, რომ 400 ყველაზე მდიდარი ადამიანის ქონება 300 მლრ.-ით შემცირდა. თუმცაღა მილიარდერ ჯორჯ სოროსის, პირიქით, გაიზარდა. მან თავისი ქონებით 28-ე ადგილიდან მე-15-ზე გადაინაცვლა. ამგვარ სიახლეს ყურადღებას დიდად არ მივაქცევდით, რომ არა მდიდარი კაცის კიდევ ერთი წინასწარმეტყველება იმის თაობაზე, რომ ამ ისედაც ღრმა რეცესიას ცოტა ხანში ახალი და კიდევ უფრო საშინელი დაემატებაო. არაა გამორიცხული, რომ სოროსის ქონების რეიტინგმა ოცეულიდან ახლადპროგნოზირებული რეცესიის დროს კიდევ უფრო მაღლა აიწიოს. სამაგიეროდ, ჟურნალ Forbes-ის ფურცლებზე არ მოხვდა ცნობა იმის შესახებ, რომ დეტროიტში უკვე რამდენიმე თვეა მორგის მაცივრებში ცელოფნის პარკებში 66 გვამი, ხოლო ლოს-ანჯელესში — 100-ზე მეტი —კრემაციასა და დასაფლავებას ელოდება. მიზეზი მარტივია: ოჯახსა და ახლობლებს მიცვალებულის გაპატიოსნებისა და ბოლო გზაზე გაცილების თანხა არა აქვთ (ცნობისთვის ამერიკაში კრემაცია 4-5 ათასი და მეტი ღირს.ძ. თუმცა ზოგიერთმა „ჭკუა იხმარა“ და სახელდახელოდ შეჭედილ კუბოში ჩასვენებული ახლობელი საკუთარ ეზოში დამარხა. ეს იმან, ვისაც ეზო აქვს.



რამდენიმე კვირის წინათ კონგრესში გამოსვლისას ობამა ჯანდაცვის სისტემის რეფორმაზე საუბრობდა და განაცხადა, გარდაქმნილი სამედიცინო მომსახურება არალეგალ ემიგრანტებს არ მოიცავსო. დარბაზში მყოფმა რესპუბლიკელმა ჯოი უილსონმა კი შეჰყვირა: „თქვენ ცრუობთ!“ („შენ“ და „თქვენ“ ინგლისურში ერთი სიტყვაა.ძ, რითაც მარტო კონგრესი კი არა, მთელი ამერიკა აალაპარაკა. ზოგმა მასში მომავალი პრეზიდენტიც კი დაინახა და უკვე გაჩნდა მილიონები მისი ჯერ არ დაგეგმილი საპრეზიდენტო კამპანიისთვის. ოფიციოზმა ეს წამოძახილი შეურაცხყოფად აღიქვა. დემპარტიელმა ჯიმი კარტერმა ერთი ამბავი ატეხა, ობამას კანის ფერის გამო ჩაგრავენო! პრეზიდენტმა უილსონისგან ბოდიში მიიღო და უფროს კოლეგა კარტერს უთხრა, დაწყნარდით, ბატონო, ეს რასიზმი არ არისო. კარტერი ცოტათი დამშვიდდა. ისე, უცნაური რაღაცები ხდება ამერიკაში და ეტყობა ამას „დიალოგი“ ჰქვია. ობამა ჰონდურასის გაგდებულ პრეზიდენტ მანუელ ზელაიას მხარს უჭერს, თუმცა „ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების კავშირში“ აშშ-ის წარმომადგენელი — არა. ორი დღის წინათ ობამა ამერიკის „შავი კონგრესმენების გაერთიანების“ შეხვედრას დაესწრო, თუმცა ეწყინა, როცა პიტსბურგის დიდი ოცეულის შეხვედრაზე იტალიელმა სილვიო ბერლუსკონიმ ობამასა და მიშელის კანის ფერის შესახებ უწყინრად გაიხუმრა.

აშშ-ის პრეზიდენტს წყენა არ გამოუხატავს, როცა ვაშინგტონში გამართული დიდი საპროტესტო აქციის მონაწილეები ობამას არც ისე „მომხიბლველ“ სურათებს (მათ შორის, ობამა ჰიტლერის ულვაშებით.ძ აქეთ-იქეთ დაატარებდნენ და მის მიმართ წიწაკიან „ანტიკომპლიმენტებს“ არ იშურებდნენ. ეტყობა, ქუჩა ქუჩაა, კონგრესი კი — კონგრესი, ორივე კი დიალოგის ფორმა. ამა წლის აპრილში პრაღაში ყოფნისას ობამამ განაცხადა პოლონეთსა და ჩეხეთში ირანისგან წამოსული საფრთხის გასანეიტრალებელ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს განვათავსებთო, მერე, 17 სექტემბერს (პოლონეთზე რუსეთის თავდასხმის 70-ე იუბილეზე.ძ — არაო, ასე არ ვიზამო; მარტში ობამამ ავღანეთში ჩვენი სამხედრო კონტინგენტი უნდა გავაძლიეროთო, ახლა კი განაცხადა, ამ შეხედულებას გადავხედავო; ჯერ თქვა, არ გავასამართლებ FBI-ის იმ თანამშრომლებს, ვინც „ალ ქაიდას“ ხალხი აწამაო, მერე კი ამ საქმის გამოსაძიებლად პროკურორი დანიშნა. ობამა ამგვარი „დიალოგის“ რეჟიმში არც პირველია და არც უკანასკნელი და, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ცოდვილ პლანეტაზე სრულყოფილი არავინაა. ისევე, როგორც, იუმორის გრძნობა: მაგალითად, ერთ-ერთ გადაცემაში ამერიკაში რომის პაპის ვიზიტისას ასეთი ტელეშარჟი აჩვენეს: პაპი ბენედიქტ XVI-ეს „კაბა“ ქვევიდან ისე აუფრიალეს, როგორც ეს ერთხელ მერილინ მონროს „დაემართა“. ყველამ გაიცინა და „ინციდენტიც“ ამოიწურა. მაგრამ როცა გაზეთ The New York Post-ის პირველ გვერდზე განთავსებულ კარიკატურაში პოლიციელები შავ შიმპანზეს შეძახილით „ახლა სასტიმულო პაკეტის დასაწერად სხვა უნდა იპოვონ“, ტყვიით გაუსწორდნენ (მაიმუნმა, მართლაც, დაკბინა ქალი, მაგრამ ჩათვალეს, რომ ეს საგაზეთო-სამაიმუნო ძარაგმა პრეზიდენტს გულისხმობდა.ძ, რედაქტორი და კარიკატურისტი ამ მდარე ხუმრობის გამო რასიზმში დაადანაშაულეს და შავზე შავი დღე დააწიეს.

როცა ამერიკის რუსეთთან და, საერთოდ, ასე ვთქვათ, „დასავლეთსა“ და „არადასავლეთს“ შორის ურთიერთობაზეა საუბარი, ჩინეთის ეკონომიკური სასწაული ყველაზე დიდ „მურმანის ეკლად“ გამოხტება ხოლმე. ავტორიტარულ ქვეყნებს საოლიმპიადოდაც ირჩევენ (ალბათ, სიდიდისა და ატომური იარაღის გამო.ძ, ხოლო არაავტორიტარული ქვეყნების პრეზიდენტები იქ სტუმრადაც ჩადიან და გალიმებულებს სურათებსაც იღებენ. მთავარია, იქ პოლიტიკური რიტორიკის ღერძი — სტაბილურობა იყოს, სხვა რამ კი — „რა ჩვენი საქმეა?“. არადა, საკუთარ მიწაზე XXI საუკუნის პროგრესული ქვეყნების პროგრესული ლიდერები რატომღაც არ ჩქარობენ ჩინური წესრიგის გადმოღებას. არც ჩინური ეკონომიკის სასწაულის კომპონენტების „დაკოპირებას“ აპირებენ. იქ ხომ მხოლოდ ე.წ. მინიმალური კეთილდღეობის ფილოსოფიას მისდევენ. ცხადია, მინიმალურს მაქსიმალური სჯობს. არ ვიცი, ამ ორ ცნებას შორის რაგვარი დიალოგის რეჟიმია, სამაგიეროდ, ვიცი, რომ ჩინეთს თავისი Forbes-ის ჩემპიონებიც ჰყავს, ხოლო ამერიკაში დღისით, მზისით, პროჟექტორით არაჩინურს ვერაფერს იპოვით. ამას ემატება ისიც, რომ ამერიკას ჩინეთის მრავალმილიარდიანი ვალი მართებს. ასე რომ, შარშან, როცა საქართველოს ტერიტორიები რუსეთის მფლობელობაში „მდოვრედ“ გადადიოდა, პეკინის ოლიმპიადაზე ჩასული ჯორჯ ბუშის ოთხდღიანი სტუმრობის პოლიტიკური ჟესტი უბრალო წვრილმანია იმ მჭიდრო ეკონომიკურ მეგობრობა-დიალოგთან შედარებით, რაც ამ ორ ქვეყანას აკავშირებს. თანაც ჩინეთი „საშური“ სტაბილურობის განსახიერებაა, ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევა. ირანი არასტაბილურია, ურანის გამდიდრება და ისრაელის განადგურება უნდა. ამიტომ იგი სანქციების ღირსია. რუსეთი სხვა ქვეყნებს იპყრობს, თავის მიერვე ხელმოწერილ ვალდებულებას არ ასრულებს, ჰუმანიტარულ სამართალს არ დაგიდევთ, მაგრამ, აბა „ცივ ომს“ ხომ არ დავუბრუნდებით, იმავე კლასში ოროსანივით ხომ არ ჩარჩებით, ეს ხომ არაპროგრესულია? ამიტომ NATO მოსკოვსაც უნდა დაუმეგობრდეს და ევროსაბჭოში ხმაც არ უნდა ჩამოერთვას. როგორც სტრასბურგში განაცხადეს, საჭიროა „რუსეთთან მუდმივი დიალოგის“ რეჟიმში ყოფნა. ამიტომაცაა აგერ უკვე მეოთხე სესიაა აგრესორს ხმა ვერ ჩამოერთვა, დროებით მაინც, აბა, თუ „პერეგრუზკაა“, „ნედოზაგრუზკა-ნედოპერეგრუზკას“ ხომ ვერ დავუშვებთ? ფულიც თავისებური „პიკასოს მტრედია“ — არც სუნი აქვს და არც საზღვარი. მხოლოდ — კონტრაქტი. ლიტვინენკოს მკვლელობის მიუხედავად ლონდონის Chelsea-ს მფლობელად რუსეთის მოქალაქე რომან აბრამოვიჩი დარჩა. ახლა რუსი ოლიგარქი მიხეილ პროხოროვი ამერიკულ საკალათბურთო გუნდს, ნიუჯერსულ Nets-ს ყიდულობს და სავარჯიშო სტადიონის მოწყობაშიც დიდძალ ფულს დებს, ანუ რუსული თუ უცხოური ფულით ამერიკას რეცესიიდან გამოსვლაში დაეხმარება.

ევროპისთვის რუსეთი, გარკვეულწილად, ისეთივე რამაა, რაც ამერიკისთვის — ჩინეთი. არადემოკრატიულობა და ტოტალიტარიზმის გამოვლინებები მხოლოდ Human Rights Watch-სა და სხვათა ანგარიშებში თუ იწერება. ამაზეც დიდი და არაფორმალური მადლობა. ევროპარლამენტის შვედ წარმომადგენელ ანდრეა გროსს (ადრე იგი ჩეჩნეთის შესახებ მომხსენებელიც გახლდათ.ძ, რასაკვირველია, ირლანდიელ ჯორჯ ბერნარდ შოუს ვერ შევადარებთ, რომელიც სტალინსა და მისთანებზე მხოლოდ „მსუბუქად“ იყო შეყვარებული. თუმცა ამას მწერლისთვის ნობელის პრემიისა და ოსკარის მინიჭების საქმეში ხელი არ შეუშლია. დარწმუნებული ვარ, რომ მიმნიჭებლები ლიტერატურის დიდი მოყვარული, ინტელიგენტი ხალხი ბრძანდებოდა, ხოლო ღირსი ნაწარმოები, თუ არ ვცდები, „პიგმალიონი“ იყო...

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საქ. კორ. აშშ-ში, ნიუ-იორკი**

◎ რევანში?

# ბრძოლა „დინამოსთვის“

**სატელევიზიო დაჭერები, მოგეხსენებათ, ვარდ-ყვავილოვანი ხელისუფლების ალზევების პირველივე დღეებიდან ამაღლდა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში.**

მერაბ ჟორდანიას ხვედრი ამ მხრივ მაინც განსაკუთრებულია: თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობის ბრალდებით ეგზეკუცია ორჯერ ჩაუტარდა, თუმცა საპროცესო გარიგების წყალობით ორჯერვე დაალწია თავი მერაბიშვილის ციხის ჯურღმულებს და რამდენიმე წლის განმავლობაში შვეიცარიაში ცხოვრობდა. არა უშავს, ჟორდანიეზი ემიგრანტობას მიჩვეულნი ვართო, განაცხადა მან ერთ-ერთ მაშინდელ საგაზეთო ინტერვიუში.



მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ძველი საფეხბურთო დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი სამშობლოში დაბრუნდა და ხანგრძლივი დუმილიც დაარღვია.

ჩემს მეგობრებს თბილისის „დინამო“ ხელმეორედ უნდა დავუკანონო, საამისოდ სარჩელს სასამართლოში შევიტან და თუ საჭირო გახდა, საქმეში გავლენიან უცხოელებს ჩავრთავ, მათ შორის ფიფასა და უეფას მაღალჩინოსნებსო — ამ სიტყვებით გახსნა ფრონტის ხაზი მერაბ ჟორდანიამ და დუელში სახელოვანი კლუბის დღევანდელი თავკაცები გამოიწვია, რომელთა მოღვაწეობითაც თბილისის „დინამო“ ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილამდე დაქვეითდა და მორიგი ტიტულის მოპოვების შანსი, პრაქტიკულად, აღარც გააჩნია.

ალბათ, დაგაინტერესებთ, ვინ მოიაზრებიან ბატონი მერაბის იმ მეგობართა ნუსხაში, ვინც კიდევ ერთხელ უნდა მოვიდნენ „თეთრ-ლურჯთა“ სათავეში. მართალია, მან დაკონკრეტებას დელიკატურად აუარა გვერდი, მაგრამ საზოგადოება ხომ ძალიან კარგად იცნობს ამჟამად პატიმრობაში მყოფ მერაბ რატიანს, აგრეთვე რომიკო შოთაძესა და ლერი სულაბერიძეს.

ბუნებრივია, როცა ასეთ ამბიციას გაამჟღავნებ, დასაყრდენი მაღალ ეშელონებშიც უნდა გყავდეს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახლო წარსულში არაერთ სკანდალურ ფაქტთან დაკავშირებულ ვერის საძმოს წევრს, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს ნიკოლოზ რურუას ქართულ ფეხბურთში ჟორდანიას დაბრუნების საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეს.

**დაბოლოს:** როგორც ცნობილი გახდა, უცხოეთში ყოფნის პერიოდში მერაბ ჟორდანია თბილისის „დინამოს“ ყოფილ მფლობელ ბადრი პატარკაციშვილს შეხვედრია, რის შესახებაც დაღუპული ოლიგარქის ოჯახთან ახლახან ტელეფონითაც უსაუბრია. ვითომ შემთხვევითია ასეთი დიალოგი?

დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და, ალბათ, კვანძიც მალე გაიხსნება.

**გია პლატონიშვილი**

◎ კალათბურთი

# მხოლოდ შედეგები

**გთავაზობთ ევროლიგის ჯგუფური ტურნირის IV ტურის შეხვედრათა შედეგებს.**

**„ა“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ — „ვილერბანი“ 76:62, „ფენერბახჩე“ — „სიენა“ 83:87, „ციბონა“ — „ჟალგირისი“ 64:52.

„სიენა“, „ბარსელონა“ — 4-4,



„ფენერბახჩე“ — 2, „ჟალგირისი“, „ციბონა“ — 1-1, „ვილერბანი“ — 0 მოგება.

**25 ნოემბერს ითამაშებენ:** „სიენა“ — „ბარსელონა“, „ჟალგირისი“ — „ფენერბახჩე“, „ვილერბანი“ — „ციბონა“.

**„ბ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ — „ეფეს პილსენი“ 105:90, „ორლეანი“ — „უნიკახა“ 74:86, „ლიეტუვას რიტასი“ — „პარტიზანი“ 78:56.

„უნიკახა“ — 4, „ოლიმპიაკოსი“, „ლიეტუვას რიტასი“ — 3-3, „ეფეს პილსენი“, „პარტიზანი“ — 1-1, „ორლეანი“ — 0 მოგება.

**25 ნოემბერს ითამაშებენ:** „პარტიზანი“ — „ოლიმპიაკოსი“, „ეფეს პილსენი“ — „„ორლეანი“, „უნიკახა“ — „ლიეტუვას რიტასი“.

**„გ“ ჯგუფი.** „რომა“ — „მაკაბი“ 90:92 (დამატებით დროშიძ, ცსკა — „ოლიმპია“ 79:69, მაროსი“ — „ტაუგრესი“ 86:103.

„მაკაბი“, „რომა“, „ტაუგრესი“ — 3-3, ცსკა — 2, „მაროსი“ — 1, „ოლიმპია“ — 0 მოგება.

**25 ნოემბერს ითამაშებენ:** „ტაუგრესი“ — ცსკა, „მაკაბი“ — „მაროსი“, „ოლიმპია“ — „რომა“.

**„დ“ ჯგუფი.** „ოლდენბურგი“ — „რეალი“ 61:104, „პროკომი“ — „პანათინაიკოსი“ 65:75, „მილანი“ — „ხიმკი“ 68:72.

„რეალი“, „პანათინაიკოსი“, „ხიმკი“ — 3-3, „მილანი“, „პროკომი“, „ოლდენბურგი“ — 1-1 მოგება.

**25 ნოემბერს ითამაშებენ:** „რეალი“ — „მილანი“, „პანათინაიკოსი“ — „ოლდენბურგი“, „ხიმკი“ — „პროკომი“.

◎ ფეხბურთი

# ამიერიდან — საამიროებში



**საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი მისამართს იცვლის. ამიერიდან აღნიშნული ფორუმი იაპონიის ნაცვლად, სადაც ტრადიციისამებრ ვლინდებოდა სამყაროს უძლიერესი გუნდი, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გაიმართება.**

წლეულს კონტინენტური ტურნირების გამარჯვებულები და ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენელი 9-დან 19 დეკემბრამდე გაითამაშებენ პრესტიჟულ ჯილდოს.

**გაეცანით მომავალ ბატალიათა კალენდარს:**

1. „ალ-აჰლი“ (საამიროებიძ — „ოკლენდ-სიტი“ (ახალი ზელანდიაძ. 9 დეკემბერი.
2. „მაზემბე“ (კონგოძ — „პოხანგ სტილერსი“ (კორეაძ. 11 დეკემბერი.
3. პირველი მატჩის გამარჯვებული — „ატლანტე“ (მექსიკაძ. 12 დეკემბერი.

**ნახევარფინალები**

4. მეორე მატჩის გამარჯვებული — „ესტუდიანტესი“ (არგენტინაძ. 15 დეკემბერი.
5. მესამე მატჩის გამარჯვებული — „ბარსელონა“ (ესპანეთიძ. 16 დეკემბერი.

**მატჩი V ადგილისთვის**

მეორე მატჩში დამარცხებული — მესამე მატჩში დამარცხებული. 16 დეკემბერი.

**მატჩი III ადგილისთვის**

მეოთხე მატჩში დამარცხებული — მეხუთე მატჩში დამარცხებული. 19 დეკემბერი.

**ფინალი**

19 დეკემბერი.

◎ ეპიდემია

## კარანტინი კლოზეს ოჯახში

**როგორც გერმანიიდან იტყობინებიან, კარანტინი გამოცხადდა „ბაიერნის“ თავდამსხმელის მიროსლავ კლოზეს ოჯახში, ვინაიდან ფეხბურთელის ტყუპი ბიჭები ღორის გრიპით დაავადდნენ. თავად ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე სილვია ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.**

ჯერჯერობით გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა თავდამსხმელი გერმანიის ნაკრებში მომავალ ოთხშაბათს კოტ-დ იუვარის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში. დღეს გერმანელები ჩილეს ნაკრებს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ამხანაგური მატჩი გადაიდო მეკარე რობერტ ენკეს დაღუპვის გამო.



◎ ინტერნეტიდან



## რეკორდების წვიმა მოკლე წყალზე

**სტოკჰოლმში დამთავრდა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი მოკლე წყალზე. პირველ დღეს თუ 25-მეტრიან აუზში ოთხი მსოფლიო რეკორდი დამყარდა, მეორე დღეს რეკორდების წვიმა ხუთამდე გაიზარდა.**

პირველ დღეს გულშემატკივრები მსოფლიო რეკორდებით გაახარეს 200 მეტრზე ბატერფლაით ბრაზილიელმა ალმეიდამ — 1,49. ქალთა შორის კი — 100 მეტრზე ბატერფლაით ავსტრალიელმა გალვეზმა — 55,46. ორი რეკორდი დაამყარა 50 მეტრზე პირალმა ცურვაში ჩინელმა ცძიან ჩჟაომ — წინასწარ გაცურვაში აჩვენა წინა მსოფლიო რეკორდზე უკეთესი დრო — 26,08, ხოლო მთავარ შეჯიბრებაზე — 25,82.

მეორე დღეს თავი გამოიჩინეს მარშალმა (აშშძ 50 მეტრზე პირალმა ცურვაში — 22,73. 50 მეტრზე ბრასით წინასწარ გაცურვაზე აჩვენა ჰარტიმ (აშშძ სარეკორდო 28,96. შემდეგ 200 მეტრზე ბატერფლაით თავი ისახელა შვედმა ალსხამერმა — 24,46. ასევე ისახელა თავი ჩინელმა ქალმა ცზინგე ლიუმ — 200 მეტრზე ბატერფლაით — 2.02.50.

მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგი ეტაპი ამ დღეებში გაიმართება ბერლინში.

## ლიდერობს კრამნიკი

**მიხეილ ტალის მემორიალზე, მოსკოვში რომ მიმდინარეობს, მე-6 ტურში თითქმის 7 საათი გაგრძელდა მე-14 მსოფლიო ჩემპიონის ვლადიმერ კრამნიკის პარტია უკრაინელ რუსლან პონომარიოვთან და მისივე გამარჯვებით დამთავრდა.**



როგორც შემდეგ კრამნიკმა განაცხადა, ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი პარტია მის კარიერაში.

იმ ტურში გელფანდმა (ისრაელიძ სძლია არონიანს (სომხეთიძ, მოროზევიჩი (რუსეთიძ დამარცხდა ივანჩუკთან (უკრაინაძ, ყაიმზე შეთანხმდნენ ლეკო (უნგრეთიძ და სვიდლერი (რუსეთიძ, კარლსენი (ნორვეგიაძ და ანანდი (ინდოეთიძ. მე-7 ტურში ივანჩუკმა დაამარცხა გელფანდი, არონიანი კრამნიკს დაუზავდა, ანანდი — მოროზევიჩს, სვიდლერი — კარლსენს, პონომარიოვი — ლეკოს.

შვიდი ტურის შემდეგ ლიდერობს კრამნიკი — 5 ქულა, შემდეგ 4,5-4,4 ქულით მოდიან ანანდი და ივანჩუკი, 3,5-3,5 ქულა აქვთ კარლსენს, გელფანდსა და არონიანს, 3 — პონომარიოვს, 2,5-2,5 — მოროზევიჩს, სვიდლერსა და ლეკოს.



## რონალდო ისევ შეყვარებულია

**სახელგანთქმულ ბრაზილიელ ფეხბურთელს რონალდოს ახალი შეყვარებული ჰყავს. ისაა მკერდსავსე სამხრეთამერიკელი მოდელი ჟაკი ჰიური. მას არ აშინებს ოდესღაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გარეგნობა — რადგან გასუქებული რონალდო გამოდის ლამაზმანის საყვარელ გუნდში. „კორინანტიასში“.**

ახლა „კიჟას“ უფრო მეტი სტიმული ეძლევა თავის გუნდში სათამაშოდ. ცუდად რომ ითამაშოს, ღამე ლამაზმანს ვერ გაეკარება. უარესად რომ ითამაშოს, წითელ ბარათს დაიმსახურებს შეყვარებულისგან. ის ხომ ტრიბუნებიდან ადევნებს თვალს რონალდოს ყოველ მოქმედებას.

◉ დაიჯესტი

# ჰიტლერის ოქროს საიდუმლო

## ზოდები დამალა ვატიკანმა... მაფიასთან ერთად?



**სად გაქრა მესამე რაიხის ოქროს მარაგი ხუთასი მილიარდი დოლარის ოდენობით? როგორც შევიტყვეთ, ოქრო გაიტანეს მარშრუტით — ბერლინი-მიუნხენი, 45 წლის მარტში კი გადაიტანეს ავსტრიაში, ზალცკამერგუტის რაიონში. გერმანიის კაპიტულაციამდე ორი დღით ადრე ძვირფასეულობით დატვირთული ათეულობით ვაგონი დაიკარგა...**

**— ჩვენი რაზმი ფეხზე წამოდგა ღამით განგაშის შესაბამისად. გამოგვიყვანეს ყაზარმებიდან, რიგში ჩაგვაყენეს რკინიგზის სადგურზე გრაცემის მახლობლად, იქვე იდგნენ ვაგონები დაბეჭდილი ყუთებით. ვტვირთავდით დილამდე: სამუშაოს განაგებდნენ მღვდლები: ეპისკოპოს ალოიზ ხუდალის თანაშემწეები. ტვირთი ათ რაზმად დაჰყვეს. მანქანები უნდა წასულიყვნენ სამხრეთისკენ, ზღვისკენ. იქ ბადრაგას „ჩვენი მეგობრები შეხვდებიან“.**

### გაქცევა „ვირთხების სოროდან“

ესესელთა ხორვატიული დივიზიის „კამას“ ექს-ეფრეიტორი, 86 წლის ადამ იასენოვიჩი ამჟამად სლოვენიის მარიბორში ცხოვრობს. ის აცხადებს, რომ ყოველ ყუთზე დაინახა რეიხსბანკის ბეჭედი. „ეს იყო 7 მაისს, — იხსენებს იასენევიჩი. — გერმანიას ბოლო მოეღო, მაგრამ ჩვენ ბრძანებას ვასრულებდით, როგორც რობოტები“. ყოფილ ესესელს თუ დავუჯერებთ, მან სადგურ გრაცეში (ავსტრია) ორმოცდათოთხმეტი ვაგონი დაითვალა საიდუმლო ტვირთით. ხუდალის წარმომადგენელი გვპირდებოდა, რომ ადგილზე მისვლის დროს დაცვას უზრუნველყოფდნენ ახალი დოკუმენტებით.

— 1945 წლის 8 მაისს იუგოსლაველმა პარტიზანებმა დაიკავეს მარიბორი და ლუბლიანა, — გვიამბობს სლოვენიელი ისტორიკოსი რადომირ რებკოვიჩი. — მაგრამ სოფლად 1 ივნისამდე სრული ქაოსი იყო. თუ ბორმანის გეგმით ოქრო მიჰქონდათ სლოვენიის გავლით — ეს იდეალური მარშრუტი იყო. ხორვატებს ესესელთა რაზმებიდან დასაკარგი არაფერი ჰქონდათ: მხეცობაზე შურისძიების მიზნით სერბები მათ ადგილზევე დახვრეტდნენ. ხუდალის პრელატები მათი გადარჩენის ერთ-ერთი შანსი იყო. მარიბორის ქალაქის მმართველობაში დოკუმენტებს შორის ნახეს იმ ესესელ ოფიცერთა სია, ვინც დანიშნეს რომელიღაც „ძვირფასი ტვირთის“ გადამზიდავებად. ყველა ეს ხალხი გაქრა.



ეპისკოპოსი ალოიზ ხუდალი პირადად აწარმოებდა ესესელთა ოქროს „ტრანსფერს“

... მკვლევარი ისტორიკოსი გერჰარდ ზაუნერი დარწმუნებულია: გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ სწორედ ალიოზ ხუდალი, ავსტრიის წარმომადგენელი პაპის ტახტთან, აწარმოებდა ნაცისტების ოქროს „ტრანსფერის“ კურირებას. 9 მაისის შემდეგ ამ 60 წლის ეპისკოპოსმა მოაწყო ნამდვილი კონვეიერი ესესელი ოფიცრების სამხრეთ ამერიკაში გადასაგზავნად. ესესელებმა ამ სისტემას „ვირთხის სოროები“ უწოდეს: ვატიკანში ხორვატი მღვდლების (კრუნოსლავ დრაგანოვიჩისა და კარლო პეტრანოვიჩის), აგრეთვე ფრანცისკანელთა ორდენის ფინანსისტის (დომინიკ მანდიჩის) დახმარებით საზღვარგარეთ გაიქცნენ ურჯული ექიმი ოსვენციმიდან იოზეფ მენგელე და გესტაპოელი კლაუს ბარბიე. ხუდალს ჰქონდა ვრცელი კავშირი ნეაპოლიტანელ მაფიასთან — კომაროსთან, მაფიოზურ კლანებს კი თავიანთ განკარგულებაში ჰყავდათ მთელი ფლოტი (200 მცირე ხომალდი).

ბრიტანელმა ჟურნალისტმა რიჩარდ ლოდმა (ის ბი-ბი-სიში მუშაობდა) ჯერ კიდევ 1955 წელს გამოაქვეყნა ინფორმაცია: კომორამ სიამოვნებით დაიწყო რეიხის ოქროს კონტრაბანდა, ითხოვდა მხოლოდ 5 პროცენტს (!): თუმცა ეს იყო გიგანტური თანხა.

— ცხადია, ოქრო მიჰქონდათ სხვადასხვა მიმართულებით, — მიაჩნია ავსტრიელ მკვლევარს ჰაინც მელევსკის. — ამას მარაო ჰქვია. ძირითადი მარშრუტი გადიოდა სამხრეთზე, ხმელთაშუა ზღვისკენ, მაგრამ იყო სხვა ვარიანტებიც. 12 მაისს შვეიცარიასთან საზღვარზე ბრიტანელებმა დააკავეს ესესელთა სატვირთო მანქანების კოლონა, სადაც იყო 50 ტონა ოქრო. კონოის მეთაურმა თავი მოიკლა.

### „30 000 თავის ქალა სატანის საკურთხეველზე“

... 1945 წლის 15 მაისს სოფელ პოლიანასთან (ამჟამინდელი სლოვენია) მოხდა გამარჯვების შემდეგ უდიდესი ბრძოლა. სერბეთის პოლიციის რაზმები („კენტები“), ხორვატიელი ესესელები და გერმანიის ვერმახტი 30 000 კაცის შემადგენლობით ცდილობდნენ ავსტრიაში გადასვლას, რათა ჩაბარებოდნენ ამერიკელებს. წარმატებას ვერ მიაღწიეს.

— ეს იყო გრანდიოზული მანევრი, — დარწმუნებულია ჰაინც მელევსკი. — დაზუსტებულია: პარტიზანებმა წარმატებას მიაღწიეს გარღვევაში. მთელი ძალები გადაისროლეს პოლიანისკენ, და ავსტრიასთან სხვა საზღვარიც ღია აღმოჩნდა. ოქროთი დატვირთული ავტომანქანების კოლონებს შეეძლოთ წასულიყვნენ სამხრეთისკენ. ჰიტლერის ათეული ათასობით მომხრე არც ფიქრობდა, რომ თავისი სისხლი გადაიხადეს „ოქროს რეისისთვის“.

ამ ვერსიას ადასტურებს სხვა წყაროც. 1951 წელს ხორვატიელი ნაცისტების „სარდალმა“ (ფიურერმა) ანტე პაველიჩმა არგენტინულ გაზეთ „რესპუბლიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გადაკვრით წარმოთქვა: გარღვევა პოლიანასთან შემთხვევითი არ ყოფილა. „ჩვენ 30 000 თავის ქალა მივიტანეთ სატანის საკურთხეველზე, — განაცხადა მან. — მაგრამ ეს იყო საკრალური მსხვერპლი: საჭირო იყო იმის გადარჩენა, ურომლისოდაც ჩვენი მომავალი არგენტინაში უაზრო იქნებოდა“. უფრო ადრე შვეიცარიის ბანკირებთან შეხვედრის დროს მარტინ ბორმანი ასე ამბობდა: „ჩვენ შევინარჩუნებთ პარტიის ოქროს, რათა მეოთხე რაიხი ავაშენოთ“.




ზოდი B425, რომელიც გაქრა ოქროთი დატვირთული მატარებლიდან

... ესესელთა ოქროთი დატვირთული ავტომანქანების კვალი 1945 წლის მაისის შუა რიცხვებში დაიკარგა: ისინი ზღვისკენ წავიდნენ, სადაც მათ „მეგობრები“ ელოდებოდნენ. აზრი განძეულის შემდგომ ბედზე იყოფა. არგენტინელ მკვლევარ პატრიკ ბერნსაიდს მიაჩნია, რომ ოქრო ჩავიდა ვენეციაში და მაფიის ხელში მოხვდა. შემდეგ გაგზავნეს გენუაში, ხორვატ მღვდლებთან, შემდეგ კი — ესპანეთში. ავსტრიელი ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ განძი მიიტანეს სლოვენიის სანაპიროზე. პირანის მახლობლად ზღვაში, მაგალითად, 24 მაისამდე (!) მორიგეობდა ერთბაშად ნაცისტების ორი წყალქვეშა გემი. მათ შეეძლოთ ოქრო ნეაპოლში მიეტანათ და გადაეცათ კამორის პატრონაჟში. ეს სუბმარინები მალე გაქრნენ თვალსაწიერიდან: ისევე, როგორც ჰიტლერის მილიარდები.

**გეორგი ზოტოვი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◉ რჩევები მშობლებს

# ვზარდოთ პატარები სიკეთით — გვირჩევენ ფსიქოლოგები

● აქტიური მოსმენა. გავუგოთ მოლაპარაკეს თავისი განცდები და ვაგრძნობინოთ მას ეს ისე, რომ არ გამოვკითხოთ, არ შევაფასოთ. შევეცადოთ, დასტურის ფორმით გავიმეოროთ ის, რაც ბავშვმა თქვა და დავასახელოთ მისი შეგრძნება. მაგალითად: „გტკივა და მიტომ ბრაზობ“.

● გვიყვარდეს ბავშვი არა იმიტომ, რომ ის კარგია, გამგონე, ლამაზი, არამედ, უბრალოდ ისე. უკმაყოფილება გამოთქვით ბავშვის მხოლოდ ცალკეული მოქმედების გამო, მაგრამ არა თავად მის ან მისი გრძნობების გამო. მაგალითად, ვუთხრათ, რომ ეს ცუდად გააკეთა და არა — „რა ცუდი ბავშვი ხარ“.

● გამოვხატოთ ჩვენი გრძნობები ისე, რომ მოგვისმინონ და გაგვიგონ. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ვილაპარაკოთ პირველი პირით და მოვერიდოთ ნაცვალსახელს „შენ“. მაგალითად, „ნუ უხეშობ“-ის ნაცვლად ვუთხრათ — „უხეშობა არ მიყვარს“. თუ არ საყვედურობთ მოსაუბრეს, ის უკეთესად გაგიგებთ.



● დასჯა — ეს ნორმის, წესის დარღვევის სიგნალია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დასჯა იქით არ გადავდოთ, არ იყოს ის ძალიან მკაცრი, არ დავამციროთ ბავშვი.

◉ ხუმარსიტყვა

## საქართველოს პარლამენტი ინტელექტუალურ კრიზისს გადაურჩა

**ძლივს გავიგეთ კარგი ამბავი. ვგონებ გვეშველა: დიდი ინტელექტუალი კოკო გამსახურდია პარლამენტში შევიდა კეთილშობილური მიზნით — თავისი პარლამენტარობით გადაარჩინოს პარლამენტი ინტელექტუალური კრიზისისგან! რა, არ გჯერათ, რომ ის ინტელექტუალია თუ პარლამენტში რომ შევიდა? პირველის რა მოგახსენოთ, მაგრამ უკვე შევიდა — ნამდვილია. როგორ, არ მოისმინეთ დანა-ჩანგლით მებრძოლი სპიკერის აღფრთოვანებული მონოლოგი და პარლამენტის დიასახლისის გოგორიშვილის განსჯითი თანხმობა?**

არა, ნამდვილად გვეშველება! ახლა მაინც დაიწერება სერიოზული კანონები, ე. წ. „გადაფარვის პოლიტტექნოლოგიით“ შექმნილი კომისია ობიექტურ დასკვნას გამოიტანს და მრავალი სასიკეთო რამ გველოდება.

ისე საინტერესოა, კაბინეტი თუ ექნება და მანქანა თუ მოემსახურება პარლამენტის ინტელექტუალურ შენაძენს?

— — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

— შალიკო, როგორ მოგწონს პატრიოტული ბანაკები?

— ბანაკებს რა უჭირს, მაგრამ ამდენი გადათელილი ბუჩქი ნამდვილად არ მომწონს.

— როგორ არ გესმის, გენოფონდის ზრდა ხომ გვჭირდება!

* * *

— თემურ, დემოკრატიის მეცხრე ტალღა გვიახლოვდება. გამოდი ნაპირზე, გეყო ჭყუმპალაობა მაგ ტყუილის ნაკადში.

* * *

კუკურა ვარდების რევოლუციის მატარებელს მისდევს, ცდილობს აახტეს.

— რას შვრები, კუკურა, უყვირის გურამა. — ვერ ხედავ, ეს აბდალი მემანქანე, საცაა შლაგბაუმს რომ შეასკდება.

* * *

მიშამ ამნისტია გამოსცა და 40 წელი ოც წლამდე შეუმცირა უდაბნოში მოხეტიალე ებრაელებს. ვერ გამიგია. ამნისტია ჩვენს პოლიპატიმრებს რატომ არ შეეხო?

— ჯუმბერ, გაიგე, მიშა კატარში წასულა.

— კაცი რომ მთლად გარეკავს, გურიაში იტყვიან, კატარში (კენწეროში) ავიდაო. არ ჩამოვარდეს ეგ აბდალი.

**ლონდა მდივანი**

# განცხადება

## შპს „მუხიანის ბაზრობის“ შპს „მერცხალი პირველისათვის“ მიერთების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ შპს „მერცხალი პირველი“ (სკ 204572319) წარმოადგენს შპს „მუხიანის ბაზრობის (ს.კ. 204572569) 100 პროცენტის წილის მესაკუთრე კომპანიას, შპს „მერცხალი პირველის“ 02.10.2009 წლის პარტნიორის გადაწყვეტილების მიხედვით დადგინდა, რომ შპს „მერცხალი პირველი“ მიიერთებს შპს „მუხიანის ბაზრობას“, ხოლო შპს „მუხიანის ბაზრობას“ 30.10.2009, წლის პარტნიორის გადაწყვეტილების მიხედვით შპს „მუხიანის ბაზრობა“ მიუერთდება შპს „მერცხალი პირველს“, რის შედეგადაც შპს „მუხიანის ბაზრობა“ შეწყვეტს არსებობას, შპს „მერცხალი პირველი“ კი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად გახდება მისი უფლებამონაცვლე. მიერთების შედეგად „მერცხალი პირველის“ საკუთრებაში გადავა „მუხიანის ბაზრობის“ კუთვნილი უძრავი ქონება, აგრეთვე „მერცხალი პირველი“ გახდება „მუხიანის ბაზრობის“ უფლებამონაცვლე ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში.

## ყველაფერი ყველაფერზე

### უცნაური წერილი



ნიუტონმა ფილოსოფოს ლოკს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: „მე მივიჩნიე, რომ თქვენ ჩემი დაზნევა გსურთ ქალებისა და სხვადასხვა სამაცდუროს საშუალებით. ვიფიქრე, რომ თავს ცუდად გრძნობთ და თქვენს სიკვდილსაც კი ველოდი. გთხოვთ, მომიტევოთ ეს ლოდინი, აგრეთვე ის, რომ თქვენი თხზულება „იდეების შესახებ“ და ყოველივე, რასაც შემდეგში დაწერთ, უზნეობად ჩავთვალე“.

### ძალიან ხომ არ თავმდაბლობდა?

**„მე კარგი პატარა პოეტი ვარ“ – ეს სიტყვები ჟან-პიერ ბერანჟეს ეკუთვნის, რომლის სატირული ლექსები მთელ ლიტერატურულ სამყაროში გავრცელდა. ძალიან ხომ არ თავმდაბლობდა?**

გოეთემ მისი ლექსები ზეპირად იცოდა, ჰაინე კი პირდაპირ აღმერთებდა. სენტ-ბიოვმა კი ასე შეაფასა სატირიკოსი პოეტის შემოქმედება:

– ბერანჟე – ეს არის დიდი, თითქოს ერთფეროვანი გზა, მაგრამ მის დაბალ ადგილებშიც კი მშვენიერი ხედია“.

### ვინ დაწერდა ასეთ მუსიკას?

**ერთხელ „ტოსკას“ რეპეტიცია მიმდინარეობდა. ტოსკა რუმინელ ჰარიკლეა დარკლეს უნდა ემღერა, კავარადოსი კი ქართველების სიძეს, განთქმულ ტენორ ვუჯენიო ჯირალდონის.** კავარადოსის წამების სცენისას კომპოზიტორი პუჩინი, რომელიც ფორტეპიანოსთან იჯდა, მეტისმეტად აღეგზნო და თქვა:

– ამნაირ მუსიკას ღმერთისა და ჩემს გარდა ვერავინ დაწერდა!

### ფლობერის რჩევა

**დასავლეთევროპული რენესანსის სამი გოლიათიდან (შექსპირი, სერვანტესი, მონტენიძ ფრანგი მოაზროვნე (1532-1592ძ თითქმის თავიდანვე უდიდეს ავტორიტეტად იქცა. ამაზე მეტი რაღა უნდა ითქვას – მკვლევარებმა დაადგინეს, რომ შექსპირი 750-ჯერ პირდაპირ იყენებს მიშელ მონტენის „ცდებს“.**



ახლა ფლობერს მოვუსმინოთ: „თქვენ მეკითხებით, რომელი წიგნები უნდა წაიკითხოთ. იკითხეთ მონტენი, იკითხეთ ნელა, არ აჩქარდეთ! შეიქმენით თქვენი სულისთვის ისეთი ატმოსფერო, რომელიც უდიდეს ბრძენთა აზრით იქნება სავსე... დასაწყისისთვის მაინც მონტენის წაკითხვას გირჩევთ. წაიკითხეთ თავიდან ბოლომდე და როდესაც დაამთავრებთ, ისევ თავიდან დაიწყეთ“.





### დაიღუპა, როგორც ჯარისკაცი ბრძოლის ველზე

**პარიზელმა ბიბლიოფილმა ანტუან მარი ანრი ბულარმა წიგნებით 8 (!ძ სახლი კი გაავსო, მაგრამ მათი მოწესრიგების, კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის დრო ნამდვილად აღარ ჰქონდა. იგი ხომ მთელ თავისუფალ დროს სენის სანაპიროსთან მყოფ ბუკინისტებთან ატარებდა, სახლში კი ყოველთვის დიდი შეკვრებით ბრუნდებოდა, ორი-სამი ათეული წიგნით. რათა ისინი უფრო იოლად მოეტანა, უზარმაზარჯიბეებიანი პალტო შეიკერა, სადაც დიდი ფოლიანტებიც ეტეოდა.**

ცოლმა ითმინა, ითმინა, შეეცადა, ბულარი როგორმე შეეჩერებინა და ერთხანს წარმატებასაც მიაღწია, პირობა დაადებინა, აღარ წასულიყო სენის სანაპიროების ბუკინისტებთან. საწყალი ბიბლიოფილი ერთხანს სიტყვას კი იცავდა, მაგრამ ხასიათი წაუხდა, ჩამოხმა, ფერი დაკარგა. მაშინ ცოლი იძულებული გახდა, მისთვის პირობის დარღვევის უფლება მიეცა და ბულარის ჯანმრთელობაც მყისვე გაუმჯობესდა.



ეს იშვიათი ბიბლიოფილი, როგორც ამბობენ, ისე დაიღუპა, როგორც ჯარისკაცი ბრძოლის ველზე. ერთხელ იმდენი წიგნით დაიტვირთა, რომ მეეტლეებმა მის წაყვანაზე უარი თქვეს. მაშინ, მეტი რაღა ჩარა იყო, ასეთი ძვირფასი ტვირთით ფეხით მოუხდა წასვლა. გაცივდა, გაცივება ფილტვების ანთებაში გადავიდა და არა მარტო სიცოცხლეს, თავის ბიბლიოთეკასაც გამოეთხოვა.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

**14 ნოემბერი**

**23-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. შაბათი.**

**ხსენება უვეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა კოზმა და დამიანესი, რომელნი იყვნენ ასიით და დედისა მათისა ღირსი თეოდოტიასი; მღვდელმოწამე იოანე ეპისკოპოსისა და იაკობ ხუცესისა, სპარსეთს წამებულთა (დაახლ. 345ძ; მოწამე კვირიანასი და იულიანასი (IVძ; მოწამე ერმინიგელდისა (586ძ; მოწამეთა კესარიოსისა, დასიოსა და მათთანა ხუთთა მოწამეთა (VIIძ.**

### დაიბადნენ:

**1765 – რობერტ ფულტონი,** ამერიკელი გამომგონებელი, გარდაიცვალა 1815 წელს.

**1797 – ჩარლზ ლაიელი,** ინგლისელი ბუნებისმეტყველი, გარდაიცვალა 1875 წელს.

**1907 – ასტრიდ ლინდგრენი,** შვედი საბავშვო მწერალი ქალი, გარდაიცვალა 2002 წელს.

**1922 – მურმან ლებანიძე,** გამოჩენილი პოეტი, გარდაიცვალა 2002 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1716 – გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი,** გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი, ლოგიკოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ისტორიკოსი.

**1830 – გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი,** გერმანელი ფილოსოფოსი.

**1939 – ალექსანდრე არსენიშვილი,** კრიტიკოსი და მთარგმნელი.

### მოვლენები:

**1716 წელი** – ევროპაში მოგზაურობის შემდეგ სულხან-საბა ორბელიანი სამშობლოში დაბრუნდა.

**1900 წელი** – საფრანგეთის სენატმა ადვოკატურაში მუშაობის ნება დართო ქალებს.

**1908 წელი** – ალბერტ აინშტაინმა გამოაქვეყნა სინათლის გავრცელების კვანტური თეორია.

**1922 წელი** – ეთერში გავიდა ბი-ბი-სის პირველი გადაცემა.

**1960 წელი** – შეიქმნა ოპეკის – ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია.

**1969 წელი** – ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-12“, რომელზეც სამი კოსმონავტი იმყოფებოდა, მთვარის ზედაპირზე დაეშვა.

**1994 წელი** – გაიხსნა სარკინიგზო მიმოსვლა პარიზსა და ლონდონს შორის ლა მანშის გვირაბის გავლით.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

დიაბეტის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღე.

ხარისხის მსოფლიო დღე.

**მედიანიუსი**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +8 – +16 |
| ქუთაისი. | +13 – +22 |
| ბათუმი. | +15 – +23 |
| ზუგდიდი. | +14 – +22 |
| თელავი. | +7 – +14 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6829 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4841 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7818 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7567 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3545 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0947 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1006 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1262 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4652 ლარი |




რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

მიხო გაკვეთილზე ხმაურით აფუჭებს ჰაერს. ყველა ცხვირსახოცს იფარებს ცხვირზე და ფანჯრისკენ იყურება.

– უკანასკნელად ვკითხულობ, ვინ ქნა ეს?
– კატეგორიულია მასწავლებელი.

– მე, მასწ! – სკამიდან ზლაზვნით წამოიწევა მიხო.

– სასწრაფოდ გადი ოთახიდან, შე ნადირო, შენა! – ძლივს ისმის ცხვირსახოცაფარებული მასწავლებლის ხმა.

მიხო გარეთ გადის, ღრმად ჩაისუნთქავს სუფთა ჰაერს და ამბობს:

– არა, პატიოსნება მაინც მომგებიანია!

* * *



– ექიმო, რა არის ეს, გამუდმებით ყველგან რომ მიფათურებთ ხელს?

– ვამოწმებ, შემორჩენილია თუ არა მგრძნობელობა.
– ვისი, ჩემი?
– არა, ჩემი.

* * *

რესტორანში ოფიციანტი მაგიდებს ერთმანეთს მიუდგამს.

– რაო, ბანკეტი იქნება? – ეკითხება მეორე ოფიციანტი.

– არა, ვიღაც დეგენერატმა ჟირაფის კისერი შეგვიკვეთა.

* * *

კარგი მზარეულია მელოტი მზარეული.

* * *

სულელი ჯერ აკეთებს, მერე კი ფიქრობს. ზარმაცი ჯერ არ აკეთებს, მერე კი არ ფიქრობს. ჭკვიანი კი ჯერ ფიქრობს, როგორ მოახერხოს ისე, რომ სულელმა ან ზარმაცმა გააკეთონ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.